

საქართველო საშინაგარეო

ს.ს.ს.წ.
იუსტისსახარების
ფრანკონიული
ფრანკონი

№ 18

15 სექტემბერი
1928

→ შინაგარეო ←

ლოლობელი — მიწადმოწყობისა და მიწადსარგებლობის
თადი საწყისების პროექტი.

ი. აფაქიძე. — ყიდვა-გაყიდვა ცალობით და ფასის გად
განაწილებით.

ე. მირიანაშვილი. — ქორწინების შეკვრის წესები.

ივ. სურგულაძე. — კერძო დანაშაულის შესახებ.

ტერმინოლოგიის მასალისათვის

პ. ქავთარაძე. — მასალა და ბ. ფურცხვანიძის საპასუხო წერი

გამოკვლევის შედეგები

კ. ბეხელია. — წალკის სახალხო სასამართლოს გამოკვე
მობსენებიდან.

ქ რ მ ნ ი ა

გიგლიოგრაფია

იურიდიული დახმარება

კანონმდებლობის მიმოხილვა

ოფიციალური ნაწილი

1928 წლის 1 იანვრიდან

გ ა მ ო დ ის ს. ს. ს. წ. იუსტიციის სახალხო კომისარიატის

ორგანიზებული ორგანო

„ს ა ბ ჯ ო ტ ა ს ა მ ა რ ტ ა ლ ი“

„საბჭოთა სამართალი“ ისახავს მიზნად გაუწიოს იდეური ხელმძღვანელობა იუსტიციის მუშაკებს და გააშუქოს სასამართლო-უფლებრივი საკითხები, როგორც თეორიული აგრეთვე პრაქტიკული ხასიათისა საბჭოთა კანონმდებლობის და ხელისუფლების პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მიხედვით.

„საბჭოთა სამართალი“ დიდ ყურადღებას აქცევს სასამართლო მუშაობის პრაქტიკულ მხარეს და დაეხმარება სასამართლოს დარგში ყველა მომუშავეთ სათანადო მასალის მიწოდებით, სადაო საძიებების განმარტებით, სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვით, კოდექსების სხვა და სხვა მუხლების ახსნა-განმარტებით და კომენტარებით

„საბჭოთა სამართალი“ დიდ ყურადღებას მიაქცევს აგრეთვე სასამართლო დაწესებულებებში ბიუროკრატიზმთან ბრძოლას და დაუნდობლად ამხელს იუსტიციის მუშაკთა უარყოფით მხარეებს.

ჟურნალში დათმობილი აქვს ადგილი **პენიტენციურ, სამილიციო და სისხლის სამართლის სამკაბო მილიციის მუშაობას.**

გარდა თეორიული და პრაქტიკული ხასიათის წერილებისა ჟურნალში არის აგრეთვე **შემდეგი განყოფილებები:**

საბჭოთა კანონმდებლობის მიმოხილვა, სასამართლოს ცხოვრება, ტერმინოლოგიის მასალა, ქრონიკა, გიგლიოგრაფია, იურიდიული დახმარება (კითხვა-პასუხი), ოფიციალური ნაწილი (დადგენილებები, განმარტებები, ინსტრუქციები, ცირკულარები), უოსტა, განცხადებები და სხვ.

ჟურნალში თანაგრძობლად შემდეგი კონსპექტები:
(ანბანზე)

ალხოვი ა., ამალღობელი ს. ანდრონიკაშვილი ლ., ბაზოვი გ., გაბაშვილი დ., გალუსტიანი ა., დოლიძე თ., ვარდანანი ს., ვარძიელი ი., ვაჩიშვილი ა., იუზბაშვილი გ., კაჭარავა ა., კოსტავა ა., კუსიკოვი ა., ლუნკევიჩი ვ., მათიკაშვილი შ., მახარაძე ფ., მესხიშვილი შ., მიქელაძე კ., ნანეიშვილი გ., ნუცუბიძე შ. პავლიაშვილი ი., პლეტნიკოვი კ., როინაშვილი ი., რცხილაძე გ., სიჭინავა ი., სურგულაძე ი., ტალახაძე ი. ტატიშვილი ე., ქავთარაძე პ., ქორქაშვილი მ., შავერდოვი ა., შურღაია ლ., ჩხეიძე ს., ჯაფარიძე ს. და სხვ.

პასუხისმგებელი რედაქტორი: შ. მათიკაშვილი.

სარედაქციო კოლეგია: ა. კაჭარავა, ი. როინაშვილი, პროფ. შ. ნუცუბიძე, კ. მიქელაძე ს. ჯაფარიძე, პ. ქავთარაძე.

ხელის მოწერის ფასი: წლიურად—10 მან., 6 თვით—5 მ. 50 კაპ., 3 თვით—3 მ.
ფასი თითო ნომრისა—50 კაპ.

სამ თვეზე ნაკლები ხელისმოწერა არ მიიღება.

რედაქციის და კანტორის მისამართი: ტფილისი, ტრიბუნალის ქ., № 32, ტელეფონი № 10—51.

საბჭოთა საბარბოთაღი

34 (05)

ს. 13.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შვერტლით

რედაქციის და კანტორის
მისამართი:

ბჭილხისი, ტრიბუნალის

მ. № 32

ტელ. № 10-51

საღიწმუნოების უსი:

წლიურად — 10 მან.

6 თვით — 5 მ. 50 კ.

3 თვით — 3 მ.

1 ნომერი 50 კ.

№ 18

15 სექტემბერი 1928 წ.

№ 18

მიწადმოწოვისა და მიწადსარგებლოვის ძირითადი საწყისების პროექტი

სრულიად საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მომავალ სესიაზე განხილულ იქნება პროექტი მიწათმოწყობისა და მიწათსარგებლობის ძირითადი საწყისებისა. მიწათმოწყობისა და მიწათსარგებლობის ძირითადი საწყისების გამოცემა მით უფრო საჭიროა, რომ მოკავშირე რესპუბლიკებისათვის არ არის განსაზღვრული სფერო, რომელშიაც უნდა მიმდინარეობდეს მათი საკანონმდებლო შემოქმედება აღნიშნულ დარგში.

ძირითადი საწყისებმა უნდა განსაზღვრონ არა მარტო საკანონმდებლო კომპეტენცია მოკავშირე რესპუბლიკებისა საადგილმამულო ურთიერთობათა მოწესრიგების სფეროში. არამედ საადგილმამულო პოლიტიკის განვითარების ხაზიც, რომლითაც უნდა მიმდინარეობდეს კანონმდებლობის განვითარება. ასეთი ხაზის განსაზღვრა აუცილებელია, რადგან საადგილმამულო პოლიტიკის განვითარება მოკავშირე რესპუბლიკებში უნდა მიმდინარეობდეს იმ მამართლებით, რაც უზრუნველყოფს მიწის სარგებლობის ერთპიროვნულ ფორმიდან კოლექტიურ მეურნეობაზე გადასვლას, ე. ი. მეტის წარმატებით ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებას გარდამავალ ხანაში, რათა შესაძლებელ იქნეს სოციალისტური მეურნეობის დამკვიდრება.

მთავარი დებულება, რასაც უნდა ადგილი ჰქონდეს მიწათმოწყობისა და მიწათსარგებლობის ძირითადი საწყისებში, წარმოადგენს ის პრინციპი, ურომლისოდ შეუძლებელია კავშირში შემავალ რესპუბლიკების ერთად არსებობა, ერთის მხრივ, და საბჭოთა სახელმწიფოს, როგორც ასეთის არსებობა, მეორეს მხრივ. ეს პრინციპი გამოხატავს მიწის ნაციონალიზაციას, ე. ი. მიწაზე მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს საკუთრებას. საბჭოთა სინამდვილეში ამ პრინციპთან ბუნებრივად დაკავშირებულია მეორე პრინციპი, რაც გამოხატულია ძირითადი საწყისებშიც და ადგრეთვე ყველა მოკავშირე რესპუბლიკის მიწის კოდექსებში. ესაა დებულება, რომ მიწაზე კერძო საკუთრება გაუქმებულია საშუალოდ — ცხადია, რომ ამ ორ პრინციპის ერთმანეთისაგან დაშორება შეუძლებელია, რადგან მარტოდენ მიწის ნაციონალიზაციის გატარება არ უზრუნველყოფს სოციალურ ურთი ერთობათა იმ სისტემას, რაც დამახასიათებელია საბჭოთა სახელმწიფოსი.

აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა ვაღიაროთ, რომ მიწის შესახებ საკავშირო კანონპროექტი, რომელიც მის მიღებისა და გამოქვეყნების შემდეგ უნდა გახდეს მოკავშირე რესპუბლიკათა საკანონმდებლო შემოქმედების გამოსავალი წერტილი და ფარგლები, ვერ დაკმაყოფილება მხოლოდ ნაციონალიზაციის პრინციპის აღიარებით, როგორც ყველა რესპუბლიკების საადგილმამულო წყობილების საფუძვლილო საფუძვლისა. რამდენად ნაციონალიზაციის პრინციპი გამოხატავს მიწისადმი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს მიმართებას, რომელიც ივსება არა ცივილისტური, არამედ მის ბუნების შესაფერი შინაარსით, ე. ი. მხოლოდ მიწის განკარგულების შინაარსით, ამ სიტყვის იმ მნიშვნელობით, რომ მიწისადმი მიმართება გამოიხატება მის გამოყენებაში თანახმად საბჭოთა ხელისუფლების მიზნებისა, საჭიროა, რომ მიწაზე საერთო კანონში იქნეს განსაზღვრული მიწის გამოყენების განაწილება კავშირსა და მოკავშირე რესპუბლიკების შორის. საკავშირო ძირითადი კანონში ასეთი განაწილების გატარება მით უფრო საჭიროა, რომ თუმცა კავშირსა და მასში შემავალ რესპუბლიკებს ერთი მიზანი აქვთ, მაგრამ კავშირს, როგორც ყველა რესპუბლიკის საერთო მიზნის მატარებელსა და გამტარებელს, აგრარული პოლიტიკის განმტკიცებისა და განვითარების სფეროში ისეთი ამოცანები ეკისრება, რომლის განხორციელება ძალუძს მხოლოდ ცალკე რესპუბლიკების საერთო მიზნის განსახორციელებლად შემაერთებელ პოლიტიკურ ძალას. მიწის განკარგულება საერთო მიზნის განსახორციელებლად ისეა გატარებული ძირითადი საწყისების პროექტში, როგორც ეს შეეფერება კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიზნებს. ამ განაწილების მიხედვით მოკავშირე რესპუბლიკებს ეკუთვნის ყველა მის ტერიტორიის ფარგლებში მყოფი მიწის განკარგულება გარდა იმ მიწებისა, ა) რაც მიეცემა ს. ს. რ. კავშირის დაწესებულებებს, საერთო საკავშირო საწარმოსა და ორგანიზაციებს, ბ) რაც გამოყოფილ იქნება საერთო საკავშირო სახალმწიფო ფონდში, და გ) საკონცესიო მიწებისა (3 მუხ.).

მოყვანილი დებულებებით, რა თქმა უნდა, არ ამოიწურება შინაარსი მიწათმოწყობისა და მიწათსარგებლობის ძირითადი საწყისებში, როგორც უკვე იყო აღნიშნული, უნდა იყოს გატარებული ხაზი საადგილმამულო პო


ლიტიკის განვითარებისა. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ვაგრძელდეს ის მდგომარეობა, რაც აქამდე და ამ ჟამიდან არსებობს. ყველა მოკავშირე რესპუბლიკის კოდექსებში ჩვენ ვპოულობთ ნორმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ნაციონალიზაციის პრინციპის დაცვას, მაგრამ ამ პრინციპის პოლიტიკური მხარისათვის არ არის ნაჩვენები განვითარების ხაზი, რაც გულისხმობს ერთპიროვნულ მეურნეობის ფორმიდან კოლექტიურ ფორმაზე გადასვლის პირობათა შექმნას. ცხადია, რომ ძირითად საწყისების ავტორებს უნდა შეეჩერებიათ თავიანთი ყურადღება ამ საკითხზე, მით უფრო, რომ ამის შესახებ მაცემული იყო დირექტივები საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკა-ს 1927 წლის 20 ოქტომბრის დადგენილებაში. მართლაც, ჩვენ ამ პროექტში ვპოულობთ შემდეგ არსებითი მნიშვნელობის მუხლებს.

პროექტის 15 მუხლი შეიცავს დებულებას, რომ მიწათმოწყობა ხელს უნდა უწყობდეს სასოფლო მეურნეობის განვითარებას, მის კოლექტივიზაციას. ამ მუხლის განვითარებას წარმოადგენს 19 მუხლი, სადაც ის აზრია გატარებული, რომ კოლექტიურ მეურნეობათ და აგრეთვე სუსტ საგლეხო მეურნეობას ეძლევათ მიწათმოწყობის დროს, სხვა დანარჩენ მიწის მოსარგებლეებთან უპირატესობით, უფრო კარგ ადგილზე მდებარე მიწები, რომლებიც მისცემენ მათ მოსარგებლეებს საშუალებას გაიადვილონ მიწის დამუშავება და რომლებიც უზრუნველყოფილი იქნებიან სალი მეურნეობის საწარმოებლად საჭირო ნაკვეთებით, წყლით და გზებით. პროექტში ჩამოთვლილია მეურნეობის განვითარების ხელისშემწყობ და მიწის მოსარგებლეთა წამაქეზებელ ღონისძიებათა მთელი რიგი: ა) შეღავათები ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ვალდების სფეროში, ბ) უპირატესობა ერთპიროვნულ მეურნეობათა წინაშე მიწის მიღების მხრივ, დ) მიწის იჯარის გადაცემა კოლექტიურ მეურნეობაზე სახელმწიფო საადგილმამულო ქონებიდან, ე) უზრუნველყოფა კოლექტიური მეურნეობისა სასოფლო-სამეურნეო მანქანებით და იარაღით, მიწის გასანაყოფიერებელ მინერალურ საშუალებებით და თესლით შეღავათიან პირობებში და უპირატესად ერთპიროვნულ მეურნეობათა წინაშე, ვ) რიგს გარეშე მათი მიწისმოწყობა სახელმწიფოს ხარჯზე და სხვ. ამავე დროს გატარებულია ის პრინციპი, რომ გადასვლა მეურნეობის წარმოების კოლექტიურ ფორმაზე უნდა იყოს ნებაყოფლობითი.

ვინაიდან პროექტში გატარებულ საადგილმამულო პოლიტიკის განხორციელების უზრუნველსაყოფად არ არის საკმარისი მოყვანილ დებულებათა დაწესება, პროექტის ავტორებს არ შეეძლოთ არ შეეჩერებიათ თავიანთი ყურადღება ისეთ ინსტიტუტებზე, რომლებსაც შეუძლიათ დიდი გავლენა იქონიონ კოლექტიურ მეურნეობათა შექმნასა და განვითარებაზე. ასეთ ინსტიტუტს წარმოადგენს მიწის შრომითი იჯარა. იმ საკითხზე, თუ რა პირობა განსაზღვრავს მიწის იჯარით გაცემის შესაძლებლობას, პროექტში ახალი არა არის რა, თუ ასეთათ არ ჩავთვლით

იმას, რომ მასში წინააღმდეგ საქართველოს მიწის კოდექსისა არ არის ამომწურავი ჩამოთვლა იმ გარემოებებისა, რომლებიც მიუთითებენ მეურნეობათათვის მუშა ხელის დაკლებაზე, როგორც ისეთ პირობაზე, რაც იძლევა შესაძლებლობას მიწის იჯარით გაცემისას. მიწის იჯარის შესახებ პროექტის მუხლებში დატულია კოლექტივიზაციაზე გადასვლის გამაადვილებელი პირობები, რაც გამოიხატება საიჯარო ვადის შემცირებაში (ვინა არ შეიძლება აღემატოს 6 წელს), ადგილობრივ ორგანოებისათვის იმ უფლებების მინიჭება, რომ მათ შეუძლიათ შეამცირონ საზღვრითი ვადა იჯარისა სამ წლამდე იმ მეურნეობათათვის, რომლებიც, მიუხედავად დახმარებისა სახელმწიფოსა და კოოპერაციის მხრივ, თვითონ არ ამუშავებენ მიწას, წლიდან წლამდე მიწის იჯარით გაცემით სარგებლობენ (38 მუხ.).

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ პროექტი იძლევა ნათელ პასუხს იმ საკითხზე, რომელსაც აქტუალური მნიშვნელობა აქვს მიწის ნაციონალიზაციის განმტკიცებისა და კოლექტივიზაციის პრინციპის განვითარებისათვის. ეს გამოხატულია პროექტის ძირითად დებულებებში (1 მუხ.), სადაც აღიარებულია ბათილად ყოველგვარი გარიგებანი, რომლებიც არღვევენ პირდაპირ ან ფარულ ფორმაში მიწის ნაციონალიზაციის პრინციპს (მიწის ყიდვა-გაყიდვა, დაგირავება, გაჩუქება, ანდერძით დატოვება, თვითნებური გაცემა-გამოცემა და სხვ.), მასთან განსაზღვრულია ამ პრინციპის დარღვევისათვის შედეგიც — გარიგებაში მონაწილეთაგან მიწის სარგებლობის უფლების ჩამორთმევა და სისხლის სამართლის წესით პასუხისმგებლობა. ეს დებულება არ არის ახალი. მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კოდექსში არის ასეთი ნორმა. ეს გამოხატავს ბრძოლის პოლიტიკას მიწის ნაციონალიზაციის დარღვევის მიმართ. მაგრამ ამასთან ერთად აღსანიშნავია პროექტში გატარებული კიდევ ერთი პრინციპი — აღიარებულია, რასაც საკავშირო რესპუბლიკების მიწის კოდექსში არ აქვს ადგილი. ცხადია, რომ მიწის ნაციონალიზაციის პრინციპის დარღვევა შეიძლება არა მარტო მიწის ზემოდაღნიშნული განკარგულებით (მიწის ყიდვა-გაყიდვა, გაჩუქება, ანდერძით დატოვება, დაგირავება), რაც გამოხატავს მიწის ცივილისტურ განკარგულებას, არამედ მიწისადმი ისეთ მიმართებითაც, რომლითაც ირღვევა მიწის სარგებლობის უფლების ძირითადი საფუძველი (უშუალო სარგებლობა), რაც სავალდებულოა მიწის მოსარგებლეთა განსაზღვრულ კატეგორიისათვის ყოველი მიწის გარეშე. იმ პირობაში, როცა დაუშვებელია მიწის იჯარით გაცემა განსაზღვრული მიწის მოსარგებლის მიერ, მათ მიერ მიწის გამოყენება იჯარის გაცემის საშუალებით არ შეიძლება არ ჩითვალოს მიწაზე უფლების ბოროტად გამოყენებათ — პროექტის მუხლი კრძალავს კულაკური მეურნეობის მიერ მიწის იჯარით გაცემას, რადგანაც მას სთვლის, (და ეს სრულგებრივ სამართლიანია) მიწის უშუალო სარგებლობის ძირითადი პრინციპის დარღვევათ. ამ პრინციპის დარღვევისათვის დაწესებულია მხოლოდ მიწის სარგებლობის უფლების ჩამორთმევა. პროექტის შემდგენელნი მეტს რეპრესიას აწესებენ მიწის საიჯარო სარგებლობის პრინციპის დარღვევისათვის, რაც გამოიხატე-



ბა იჯარით მიღებული მიწის მოიჯარადრის მიერვე იჯარით გაცემაში. ასეთ შემთხვევას პროექტის მუხლით უნდა მოჰყვეს გარიგებაში მონაწილე პირთაგან მიწის სარგებლობის უფლების ჩამორთმევა და სისხლის სამართლის წესით პასუხისმგებლობა.

ამრიგად მიწათმოწყობის მიწადსარგებლობის საწყისების პროექტში მოთავსებულია ყველა ის საერთო დებულებანი, რომელთაც უნდა ქონდეთ ადგილი საერთო კანონში. ამ პროექტის მიღებისთანავე მოკავშირე რესპუბლიკებს მოუხდებათ თავიანთ კოდექსების გადათვალთვალება და მისი დიდად გადამუშავება. ცხადია, რომ ძირითად საწყისების საფუძველზე მოკავშირე რესპუბლიკების საკანონმდებლო შემოქმედება გაუშლის საბჭოთა ხელისუფლებას გზას სოციალისტური მეურნეობის დამკვიდრების მიმართულებით.

ლოლობელი.

შიდვა-გაყიდვა ცალობით და ფასის გადახდის განაწილებით

(სამ. სამ. კოდ. 205¹—205⁵ მ. მ.)

I

საქართველოს ც. ა. კ-ის 1925 წლის 17 ოქტომბრის დადგენილებით (კან. კრ. 1925 წ. № 3, მუხ. 72) სამოქალაქო სამართლის კოდექსი შეესებულ იქნა განსაკუთრებული დებულებით, რომელიც აწესებს ყიდვა-გაყიდვას ფასის გადახდის განაწილებით და ასეთის ურთიერთობის ჩამოყალიბების საერთო პირობებს.

არსებითად ეს კანონი არ არის ახალი სამოქალაქო სამართალში. ყიდვა-გაყიდვა ცალობით და ფასის გადახდის განაწილებით პოვებს დაწვრილებითი რეგლამენტაციას ბურჟუაზიულ ქვეყნების კანონმდებლობაში, ასეთი კანონი არსებობდა აგრეთვე ძველი რუსეთის კანონმდებლობაშიც (1904 წ. 9 თებერვლის კანონი), მაგრამ საბჭოთა კანონმდებლობამ ამ ინსტიტუტის შინაარსი, ძველ სამართალთან შედარებით, ისეთი შინაარსით შეავსო, რომ ეს კანონი განსაკუთრებული ყურადღების ღირსია.

სამართლის თეორიაში ცნობილია, რომ კანონის დედა აზრის შეცნობა და ამასთან დაკავშირებით ცხოვრებაში მისი სწორად გატარება შესაძლოა სხვათა შორის იმ საკანონმდებლო მოტივების შესწავლის საშუალებით, რომლითაც დასაბუთებულია ამა თუ იმ საკანონმდებლო აქტის დამუშავება და სამოქმედოთ შემოღება. ამიტომ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია, ვიდრე ფასის განაწილებით ქონების ყიდვა-გაყიდვის შესახებ ჩვენს კანონის მიმოხილვას შეუდგებოდეთ, მოკლეთ შევეხოთ იმავე საკითხზე რუსეთის ცაკისა და სახკომსაბჭოს მიერ 1923 წლის 10 ოქტომბრის თარიღით გამოცემული დადგენილების შემოღების პირობებს და მის საერთო შინაარსს, რადგან ეს ინსტიტუტი იქიდან იყო გადმოღებული. ეს გაგვიადვილებს ჩვენი სამ. სამ. კოდ. შესაფერ მუხლების (205¹—205⁵) აზრის გაგებას და იმ დოგმატიურ საკითხების გადაჭრას, რაც წარმოიშვება ამ კანონის მიმოხილვის ნიადაგზე.

ჯერ კიდევ 1923 წელში შრომის და თავდაცვის საბჭოსთან არსებული შინავაჭრობის მომწესრიგებელი

კომისიის მიერ შეტანილ იქნა სახკომსაბჭოში კანონპროექტი ფასის გადახდის განაწილებით ყიდვა-გაყიდვის შესახებ. ასეთი კანონპროექტის შეტანა დასაბუთებული იყო ამ ინსტიტუტის მოწესრიგების მიუცილებელ საჭიროებით. ამ კანონის საშუალებით დაინტერესებული ორგანოები, როგორც იყო შინავაჭრობის კომისია და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, ფიქრობდნენ იმ კრიზისის აცილებას, რომელმაც მაშინ თავი იჩინა მრეწველობის პროდუქციის გასაღების საქმეში. ყველას უდაოდ მიაჩნდა, რომ ვაადვილებული პირობები, რომელიც ამ კანონით წესდებოდა და რომელშიაც შესაძლო იყო მრეწველობის ფაბრიკატების შექმნა, გააფართოვებდნენ ამ ფაბრიკატების გაგრცელებას მოსახლეობაში და საბოლოოდ დასძლევდნენ ამ დარგში წარმოშობილ კრიზისს. მეორე მხრივ კი მრეწველობის ინტერესების დაცვასთან ერთად სახეში იყო მიღებული მასიური მყიდველების—მშრომელთა მასების ინტერესიც, რამდენადაც მათ ასეთი კანონის შემოღებით უადვილდებოდათ საჭირო საგნების შექმნის შესაძლებლობა. აი სწორედ ის ორი მთავარი მოტივი, რომელსაც აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ კანონის შინაარსში და ურომლისოდაც კანონის გაგება როგორც მთლიანად, ისე მისი ცალკე მუხლების შეუძლებელია.

სახკომსაბჭოში განხილულ ორი პროექტიდან (შინავაჭრობის კომისიის და იუსტიციის სახ. კომისარიატის) მიღებულ იქნა იუსტსახკომის პროექტი, რომელიც შემდეგ დაამტკიცა სრულიად რუსეთის ც. ა. კ-მა 1923 წლის 10 ოქტომბრის დადგენილებით და მოთავსებულ იქნა სამ. კოდექსში ცალკე დამატების სახით (რ. ს. ფ. ს. რ. სამ. სამ. კოდ. 180—205 მ. მ. დამატება).

საქართველოს სამოქ. სამართ. კოდექსმა (205¹—205⁵ მ. მ.) მთლიანად აღადგინა რუსეთის ცაკის დადგენილების შინაარსი და შეითვისა ის მთავარი მომენტები, რაც ხსენებულ დადგენილებას ახასიათებს. ასეთია, პირველყოვლისა, ის დებულება, რომ ჩვენმა კანონმა უფრო ვაადვიერა მყიდველის უფლებები ამ ურთიერთობაში, ვიდრე ამას უშვებდა ძველი სამართალი. აქ კანონმა წინასწარ დაუშვა ის პრეზუმპცია, რომ ფასის გადახდის განაწილებით საქონლის მყიდველი არის ეკონომიურად უფრო სუსტი მხარე, ვიდრე საქონლის გამყიდველი, და ამიტომაც პრინციპიალურად უარყო ამ უკანასკნელის გაჭირვებული მდგომარეობის ექსპლოატაციის შესაძლებლობა და აქედან გამომდინარე რაიმე შეღავათები. ასე, მაგალითად ფასის გადახდის განაწილებით ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაში არ შეიძლება შეტანილ იქნას რაიმე დამატებითი პირობა, რაც, კანონით დაწესებულ პირობებთან შედარებით, მყიდველის მდგომარეობას აუარესებს, ასეთია, მაგალითად, პირობა პირგაუტეხლობის ჯარიმის შესახებ, რასაც უშვებდა ამ ურთიერთობაში ძველი სამართალი. ასე უნდა გავიგოთ ყოველ შემთხვევაში 205¹ და 205⁵ მუხლების შინაარსი. ერთად ერთი გამოწკლისი ამ დებულებიდან პირდაპირ გათვალისწინებულია 205² მუხლის შენიშვნაში, რომლის ძალით შეთანხმებაში შეიძლება შეტანილ იქნეს მყიდველის მოვალეობა დააზღვევოს ფასის გადახდის განაწილებით შექმნილი ქონება.

იმ დებულებიდან, რომ აღნიშნულის სახის ნასყიდობის ხელშეკრულებით არ შეიძლება მყიდველს დაეკისროს რაიმე სხვა ვალდებულება, ვიდრე ეს კანონშია გათვალისწინებული, გამომდინარეობს, რომ მყიდველი არ არის ვალდებული აუნაზღაუროს კრედიტორს შესრულების ვადის გადაცილებით მიყენებული ზარალი, მიუხედავად იმისა, რომ საერთოდ ასეთი მოვალეობა გათვალისწინებულია ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის (სამ. სამ. კოდ. 121 მ.).

იმ ამოცანების მიხედვით, რაც დასახული აქვს კანონმდებელს სამოქ. სამართ. კოდექსში 205¹—205⁸ მუხლების შეტანით, უნდა ვიფიქროთ, რომ კანონით დაწესებული აკრძალვა გარიგებაში ისეთი შეთანხმების შეტანისა, რაც სცვლის მხარის მდგომარეობას, ცალმხრივი ხასიათისაა. ეს ნიშნავს რომ კანონი კრძალავს ისეთი შეთანხმების შეტანას გარიგებაში, რაც სიმძიმით აწვება ეკონომიურად სუსტ მხარეს, როგორცაა, კანონის თვალსაზრისით, საქონლის მყიდველი, ამიტომაც კანონით ბათილია ფასის გადახდის განაწილებით ნასყიდობაში შეტანილი არა ყოველგვარი ცვლილება, არამედ ისეთი, რომელიც მყიდველის ინტერესის წინააღმდეგ არის მიმართული.

მყიდველის ინტერესის დაცვის მიზნით არის აგრეთვე 205⁷ მუხლში შეტანილი დებულება, რომლის მიხედვით სარჩელი, რომელიც გამომდინარეობს ფასის გადახდის განაწილებით ნასყიდობის ხელშეკრულებიდან და რომელსაც გამყიდველი აღძრავს მყიდველის წინააღმდეგ, ექვემდებარება მარტოდენ იმ რაიონის სასამართლოს, სადაც მყიდველი სცხოვრობს სარჩელის აღძვრის დროს, და არა იმ ადგილის სასამართლოს, სადაც ის ხელშეკრულების დადების დროს ცხოვრობდა, ამ დებულებიდან გამომავლის დასაშვებია მხოლოდ 205 მუხლში აღნიშნულ შემთხვევაში.

განსაკუთრებულ შეღავათს ანიჭებს მყიდველს, ძველ სამართალთან შედარებით, 205⁸ მუხლი, რომლის ძალით მხოლოდ გადასახდელის სამჯერ ზედიზედ შეუტანლობის შემთხვევაში გამყიდველს შეუძლია არ დასჯერდეს გადაუხდელო თანხისა და მასზე დაკანონებული სარგებლის გადახდევინებას და მოსთხოვოს ნასყიდობის ხელშეკრულების მოსპობა და გაყიდული ქონების დაბრუნება. ძველი სამართლით ასეთ შედეგებს გამოიწვევდა დაპირებული თანხის ორჯერ გადაუხდელობა. ამას გარდა გამყიდველს შეუძლია მოსთხოვოს მყიდველს განსაკუთრებული სასყიდველი ქონების სარგებლობისათვის იმ დღიდან, რაც ეს ქონება მყიდველს გადაეცა, იმ დღემდე, ვიდრე იგი გამყიდველს დაებრუნება, ასეთი სასყიდლის გადახდევინება უნდა მოხდეს იმ რაოდენობითა და წესით, რაც ამგვარი ქონების ქირავნობისათვის შემოღებულია ადგილობრივ. ეს არის გამყიდველის უფლების მაქსიმუმი. სხვა რამის, ამაზე მეტის მოსთხოვნა მას არ შეუძლია, სხვათა შორის მას, როგორც ეს იყო უკვე აღნიშნული, არ შეუძლია მოსთხოვოს მყიდველს იმ ზარალის ანაზღაურება, რაც გამოწვეულია ვალდებულების შეუსრულებლობით. ამ განსაკუთრებულ სასყიდელში ჩაითვლება ის გადასახდელი, რაც მყიდველმა წინად გადაიხდა მოსპობილი ხელშეკრუ-

ლების გამო, ხოლო უკეთეს გადახდილი თანხა უკვე აღემატება სასყიდელს, ზედმეტი უნდა დაუბრუნდეს მყიდველს, როცა უკანასკნელი ჩააბარებს გამყიდველს მის მიერ შეძენილ საქონელს. მაგრამ 205⁸ მუხლში გათვალისწინებული გამყიდველის უფლება გაყიდულ ქონების დაბრუნების მოთხოვნის შესახებ უარყოფილია იმ შემთხვევაში, როცა მყიდველის მიერ გადაზე გადაუხდელო თანხა იმ თანხასთან ერთად, რომლის გადახდის ვადა ჯერ არ გასულა, აგრეთვე იმ თანხასთან ერთად რაც მყიდველმა უნდა გაიღოს ანგარიში საბოლოოდ გასწორებისათვის, გაყიდული ქონების საერთო ღირებულების 40%/ს-ზე ნაკლებია. ასეთ შემთხვევაში გამყიდველს შეუძლია მოსთხოვოს მყიდველს არა ქონების დაბრუნება, არამედ ერთდროულად გადახდა მთელი გადაუხდელო თანხისა (205⁸ მუხ. შენიშვნა).

ასეთია 205¹—205⁸ მუხლების საერთო შინაარსი და მათი დამახასიათებელი მთავარი მომენტები.

II

იმ საკითხებთა შორის, რომელიც წარმოიშევა 205¹ 205⁸ მუხლების განხილვის ნიადაგზე, აღსანიშნავია საკითხი იმის შესახებ, თუ რა ფაქტორი პირობები უნდა იყოს, რომ ეს კანონი შეუფარდოთ. ეს საკითხი შეიცავს ორ მომენტს: რა საგნებს შეეხება 205¹—205⁸ მუხლებში გათვალისწინებული ხელშეკრულება და როგორი შინაარსის უნდა იყოს თვით ეს ხელშეკრულება, რომ ის აკმაყოფილებდეს ამ მუხლებში აღნიშნულ პირობებს. საკითხი ხელშეკრულების ობიექტის შესახებ პირდაპირ გადაჭრილია კანონში. 205¹ მ. თანახმად ეს არის საოჯახო, ხელობისა და საპროფესიო საგანი, სოფლის მეურნეობის მოწყობილობა, სახლის მფლობელობა, კოოპერატიული და წვრილი საწარმო როდესაც ნასყიდობის საგანი დანიშნულია მყიდველის ხანგრძლივად სარგებლობისათვის (და არა სხვა რამ დანიშნულებისათვის, მაგალითად, მოხმარებისა, ან სხვაზე გაყიდვისათვის). ამ რიგად თვით კანონი შეიცავს ყიდვა-გაყიდვის იმ სხვადასხვა სახის საგნების აღნუსხვას, რომელსაც უნდა შეეფარდოს დებულება ცალკობით და ფასის გადახდის განაწილებით საქონლის შეძენის შესახებ. მაგრამ, როგორც ეს განმარტებულია სათანადო ორგანოების მიერ სამ. სამ. კოდ. 5,30 და 41 მუხლების მიხედვით მხარეებს შეუძლიათ გააფრცელონ 205¹—205⁸ მუხლების მოქმედება ისეთი საგნებზე, რაც არ არის პირდაპირ გათვალისწინებული კანონში. ასეთი შეთანხმება, აღნიშნულ განმარტების თანახმად, ფრიად სასურველია, რამდენადაც ის ადვილად ხდის სახელმწიფო ტრესტების პროდუქციის გასაღებას და სოფელსა და ქალაქს შორის საქონლის გაცვლა-გამოცვლის შესაძლებლობას.

ამისდა მიხედვით, მაგალითად, მრავალტომიანი გამოცემების—ენციკლოპედიებისა და სამეცნიერო კრებულების შექმნა სავსებით ეფარდება 205¹ მუხლის მოქმედებას, თუ ეს გამოცემა შექმნილია ერთ ექვემპლიარში და მყიდველის პირადი სარგებლობისათვის.

რაც შეეხება საკითხს იმის შესახებ, თუ რა შინაარსის უნდა იყოს თვით ხელშეკრულება, რომ მას შეეფარდოს ხსენებული კანონი, აქ უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ კანონის პირდაპირი ტექსტის მიხედვით 205¹ მუხლის შე-



ფარდებისათვის საჭიროა შემდეგი ფაქტიური პირობები: 1) განსაზღვრული ნივთის ყიდვა-გაყიდვა, 2) ცალკობით და ფასის გადახდის განაწილებით და 3) როგორც უარყოფითი პირობა დამატებულია, რომ საქონელი არ უნდა იყოს მიმართული სხვა რამ დანიშნულებისათვის, როგორცაა, მაგალითად, მოხმარება, ან სხვაზე გაყიდვა. იქ სადაც არის ეს სამი მომენტი, ჩვენ გვაქვს 205¹ მუხლში გათვალისწინებული ხელშეკრულება დამოუკიდებლად იმისა, თუ რა შინაარსი მისცეს მხარეებმა თავიანთი გარიგებას, ის შინაარსი, რაც გათვალისწინებულია ამ მუხლში, ან რომელიმე სხვაში (მაგ. ქირავნობის ხელშეკრულება). აქ მნიშვნელობა აქვს არა იმას, თუ როგორი დახასიათება მისცეს მხარეებმა ხელშეკრულებას, არამედ თვით ამ ხელშეკრულების შინაარსს. თუ ადგილი აქვს მხარეთა შეთანხმებას საქონლის გასხვისების შესახებ და სწორედ იმ ფაქტიურ პირობებში, რაც გათვალისწინებულია 205¹ და შემდეგ მუხლებში, ჩვენ გვექნება ყიდვა-გაყიდვა ფასი-გადახდის განაწილებით, როგორც უნდა დაახასიათონ მხარეებმა თავიანთი შეთანხმება (205⁸ მ.).

ამასთან დაკავშირებით დასმულ უნდა იქნას საკითხი: შესაძლოა თუ არა ამ მუხლის შეფარდება იმ შემთხვევაში, როდესაც განაწილებული თანხების გადახდულობა უზრუნველყოფილია თამასუქით?

თამასუქის გაცემა ისეთ შემთხვევაში, როცა საქონელი მყიდველს გადაეცა, უკვე სპობს ყიდვა-გაყიდვის-გარიგებიდან გამოძღინარე ურთიერთობას და მხარეთა შორის ქმნის ახალ ურთიერთობას, რაც ვალდებულების სამართალთან არის დაკავშირებული, ამით თავისთავად უარყოფილია ასეთ ურთიერთობისათვის 205¹ მუხლის შეფარდება.

(დასასრული იქნება)

ი. აფაქიძე.

ქორწინების შეპყრობის წესები*)

ხემოთ ნათქვამიდან ჩვენ ვხედავთ, რომ სარწმუნოებრივი წესი ქორწინებისა, წარმართული თუ ქრისტიანული, არ არის მარადიული და ღვთისაგან ან ღმერთებისაგან დადგენილი ინსტიტუტი. იყო დრო, როდესაც ქორწინება ე. ი. ცოლქმრული კავშირი მამაკაცსა და დედაკაცს შორის არ არსებობდა, დადგა დრო, როდესაც ეს კავშირი დაიბადა. იყო დრო, როდესაც არავითარი გარეგანი წესები ქორწინების შეკერისა არ არსებობდნენ, მაგრამ დადგა დრო, როდესაც ეს წესები დაიბადნენ და მუდამ განვითარების, ზრდის და სიკვდილის პროცესში იმყოფებიან. ქალის ცოლად შერთვა მოტაცება-სყიდვით შეიცვალა სარწმუნოებრივი წესებით, წარმართულ-სარწმუნოებრივი წესები შეიცვალნენ ქრისტიანულ-სარწმუნოებრივი წესებით და ყველა ეს წესები გარეგნულად ყალიბდებოდა სამართლის ორ მთავარ ფორმაში—ადატსა და კანონში.

უქველია, არც ეს საეკლესიო წესები დარჩებოდნენ უცვლელად და ცხოვრებაში დაიბადებოდნენ ელემენტები

ბი, რომელნიც დააბოლოებდნენ ამ ინსტიტუტის მოსპობისა და სიკვდილის პროცესს. ასეც მოხდა. პროცესი საეკლესიო ქორწინების შეცვლისა სამოქალაქო ქორწინებად დიდი ხანია დაიწყო დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში. სამოქალაქო ქორწინებას ნიადაგი მოუშადა ნაწილობრივ თვით რომის კათოლიკურმა საეკლესიო სამართალმა, რომელიც ითხოვდა ქორწინების საეკლესიო წესს არა რელიგიური მნიშვნელობის მხრივ, არამედ საქვეყნოდ გამოცხადებულობის მხრივ, როგორც იურიდიულ გარანტიას ქორწინების ნამდვილ არსებობისას. მაგრამ სამოქალაქო ქორწინების ინსტიტუტის შემოღების უმახლობლეს მიზეზად და საბაბად უნდა ჩათვალოს რეფორმაცია და ეგრედ წოდებულ ბუნებრივ სამართლის სკოლის შეხედულება ქორწინებაზე. XVI საუკუნის დასაწყისში გერმანეთში დაიწყო რეფორმაციული მოძრაობა, რომელიც შემდეგ ევროპის დანარჩენ კუთხეებსაც მოედო. ეს მოძრაობა გერმანეთში დაიწყო და განვითარდა ეკონომიურ ნიადაგზე, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს შორის არსებულ წინააღმდეგობათა ნიადაგზე: როგორც სოფლად, ისე ქალაქად მოგომარეობა გამწვავებული იყო რეფორმაციის წინ. ქალაქში სრული ქონებრივი უთანასწორობა იყო; ერთის მხრივ ქალაქის მცხოვრებელთა შეძლებული ნაწილი (ვაჭრები) და მეორეს მხრივ ქონებას მოკლებული ნაწილი.

სოფლად მძვინვარებს გამწვავებული ურთიერთობა მებატონეებსა და გლეხებს შორის. სახელმწიფოებრივი ხელისუფლება მთავრების ხელშია, რომელნიც დაკავშირებულნი არიან მდიდარ ვაჭრებთან. მთავრები ებრძვიან ცენტრალურ ხელისუფლებას—იმპერატორს. ამგვარად, მოწინააღმდეგე ძალები და ჯგუფები საზოგადოებისა გერმანეთში დარაზმულნი არიან ერთმანეთის წინააღმდეგ. ამავე დროს ყველა ეს მოწინააღმდეგე ძალა უკმაყოფილოა კათოლიკურ ეკლესიისა, რომელიც იმ დროს ბატონ-პატრონი იყო მთელი ქვეყნისა: მთელი სიმდიდრე და საუკეთესო მამულები მის ხელში იყო. გლეხები იხდიდნენ ათასგვარ საეკლესიო გადასახადებს კათოლიკურ ეკლესიის სასარგებლოდ. საზოგადოების ყველა ჯგუფი შურისძიებით უყურებს ეკლესიის სიმდიდრეს და ყველა ცდილობს და ყველას მიზნად აქვს თვითონ ჩაიგდოს ხელში ეს სიმდიდრე. ასე თუ ისე, დასავლეთ ევროპის ამ საერთო რეფორმაციულმა მოძრაობამ, რომლის საფუძველი იყო ეკონომიური, ჩამოაყალიბა სხვადასხვა სარწმუნოებანი (პროტესტანტიზმი, ლუთერანიზმი, თვით კათოლიციზმი), რომელთა შორის არსებობდა შეუწყნარებლობა და აქედან გამომდინარე პრაქტიკული დაბრკოლებანი სხვადასხვა სარწმუნოების პირთა ქორწინების დროს. ეს გარემოებანი უკარნახებდნენ ქორწინების სამოქალაქო წესს. ამას უნდა დაემატათ აგრეთვე შემდეგი: XVIII საუკუნეში იურიდიულ მეცნიერებაში გაბატონდა ახალი სკოლა ბუნებრივი სამართლისა, რომლის თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო ჰოლანდიელი გუგო გროცი (1583—1645 წ.).

ამ სკოლის თვალსაზრისით სამართლის წყარო არის გონება, იდეალური სამართალი გამომდინარეობს ადამიანის გონების ბუნებიდან, და ყველა დროისთვის და ყვე-

*) დასასრული იხ. „საბჭოთა სამართალი“ № 16, 17.

ლა ხალხისათვის სამართალი ერთია. თვით გონება იძლევა აბსოლუტურ უფლებრივ პრინციპებს, რომელნიც გამოსადეგნი არიან ყველა დროისთვის და ყველა ხალხისთვის, და რომელთაც, ამისათვის, აქვთ შეურყეველი და მარადიული მნიშვნელობა. ისტორიულად დამყარებული სისტემა სამართლისა არის მხოლოდ დამახინჯებული გადახრა ბუნებრივი სამართლის იდეალურ სისტემიდან. და მას აქვს უფლება არსებობისა იმდენად, რამდენადაც იგი გამომდინარეობს გონების მოთხოვნილებათაგან ე. ი. რამდენადაც მისი გამართლება შეიძლება ბუნებრივ სამართლის თვალსაზრისით. 1) ამგვარი შეხედულება სამართალზე, რასაკვირველია, უარყოფილია, და არავითარი აბსოლუტური იდეალური სამართალი ყველა დროისთვის და ყველა ხალხისთვის არ არსებობს; სამართალი არის მხოლოდ პროდუქტი საზოგადოებრივი განვითარებისა, იგი გამოპხატავს იმ საზოგადოებრივ-საწარმოო ურთიერთობათა სისტემას, რომელიც მყარდება საზოგადოების კლასებს შორის და ამ მხრივ, მაშასადამე, ყველა ისტორიულ ეპოქას თავისი სამართალი აქვს. აქ მხოლოდ გვინდა აღვნიშნოთ ის თუ რა ახალი ცნება შეიტანა ბუნებრივი სამართლის სკოლამ საქორწინო ინსტიტუტის სფეროში. თვით ეს სკოლა ბუნებრივი სამართლისა წარმოშობილია საწარმოო ძალების განვითარების ნიადაგზე და გამომხატველია თავის ეპოქის კლასურ ურთიერთობათა და მისწრაფებათა სისტემისა. საწარმოო ძალები თავის განვითარების პროცესში დაეჯახნენ მემამულეთა წესწყობილებას, როგორც მთავარ დაბრკოლებას თავის განვითარებისას. ეს დაბრკოლება ბურჟუაზიის უნდა დაეძლია წვირილ ბურჟუაზიის, ხელოსნების და ნახევრად-პროლეტარების მეშვეობით, ფეოდალურ წესწყობილების, მისი ავტორიტეტის და ტრადიციის, მისი რელიგიის და თეოლოგიურ-კანონრეატიულ ფილოსოფიის დანგრევით. ბურჟუაზიის ამ რევოლუციურ პოზიციას და განწყობილებას მემამულეთა წინააღმდეგ შეეფერება იმ დროის ფილოსოფია და კერძოდ ბუნებრივი სამართლის სკოლის მოძღვრება თავისი ლოზუნგებით: „ადამიანის თანშობილი უფლებანი“, „პიროვნების უკლება და თავისუფლება“, „გონების ყოვლად-შემძლებლობა“. „მოსპობა ყველაფრის, რაც არ შეეფერება გონების აბსოლუტურ პრინციპებს“ და სხ. 2) აი ეს სკოლა ბუნებრივი სამართ-

ლისა ქორწინებას უყურებდა, როგორც ხელშეკრულებას, რომელიც ექვემდებარება სახელმწიფოებრივ მოწესრიგებას და იურისდიქციას ისე, როგორც სხვა სამოქალაქო ხელშეკრულებანი. ასე თუ ისე, ამ მოვლენებმა—რეფორმაციამ და ბუნებრივი სამართლის სკოლამ, რომელნიც თვით იყვნენ დამყარებულნი ეკონომიურ ნიადაგზე, ერთგვარი როლი ითამაშეს საქორწინო ინსტიტუტის შეცვლაში და შემოიტანეს ახალი ცნება „სამოქალაქო ქორწინება“, რომელიც ეხება არა მარტო ქორწინების შეკვრის ფორმას ანუ წესს, არამედ მთელ საქორწინო ინსტიტუტს, მის სხვადასხვა მხარეებს. ყველაზე ცხადათ ქორწინების ინსტიტუტის არსებობა გამოიხატება მისი შეკვრის ფორმაში ანუ წესში. ისტორიამ შეიმუშავა სამი ტიპი სამოქალაქო ქორწინებისა: 1) სამოქალაქო ქორწინება, როგორც სახელმწიფოებრივი აუცილებლობა. ეს იმ შემთხვევებში, როდესაც თვით ეკლესია უარს ეუბნება საეკლესიო ქორწინებაზე სხვა რჯულის პირთ, რომელნიც სხვანაირად აზროვნობენ და არა ისე, როგორც ეკლესია, ან და იმ შემთხვევებში, როდესაც თვით ეს სხვანაირად მოაზრე პირნი თავიანთ სინიდისის ძალდატანებად სთვლიან ქორწინების კურთხევას იმ ეკლესიის მიერ, რომელსაც იგინი არ ეკუთვნიან. 2) ფაკულტატიური სამოქალაქო ქორწინება. აქ მოქალაქეს ეძლევა სრული უფლება ამორჩევსა—იქორწინოს სარწმუნოებრივი თუ სამოქალაქო წესით. 3) სავალდებულო სამოქალაქო ქორწინება. ეს წესი სავალდებულოა ყველა მოქალაქისათვის, მაგრამ ამავე დროს მოქალაქეს ეძლევა უფლება, თუ ჰსურს, სავალდებულო სამოქალაქო ქორწინებას შემდეგ შეასრულოს საეკლესიო წესიც.

პირველი ტიპის სამოქალაქო ქორწინება შემოღებული იყო პირველად 1580 წ. ნიდერლანდის ორ შტატში, მხოლოდ მალე გავრცელდა მთელ ნიდერლანდიაში. ეხლა არსებობს ავსტრიაში დისიდენტებისთვის და აგრეთვე შვეიცარიაში—ებრაელების ქორწინებისთვის ქრისტიანებთან, ნორვეგიაში—მწვანელებებისათვის, რომელნიც არ სცნობენ მღვდლებს. ფაკულტატიური სამოქალაქო ქორწინება პირველად წარმოიშვა, მხოლოდ დიდხანს არ არსებობდა, საფრანგეთში ლაჟდოვიკ XVI დროს; ეხლა არსებობს ინგლისში, ავსტრიაში (მთავარ სარწმუნოების პირთა შორის) და ნორვეგიაში. მესამე ტიპის სამოქალაქო ქორწინება შემოღებული იყო საფრანგეთის რევოლუციური კანონით, რომელმაც შეიტანა ახალი შეხედულება ქორწინებაზე: ეს არის ჩვეულებრივი სამოქალაქო ხელშეკრულება. თუ ქორწინება ხელშეკრულებაა, მაშასადამე მხოლოდ სახელმწიფოს აქვს უფლება დაამყაროს მისი წესები. არსი ქორწინებისა მდგომარეობს შე-

1) იხ. проф. В. М. Хвостов. „История римского права“. Москва, 1907 г., гл. 448-449. აგრეთვე проф. Трубецкой. „Энциклопедия права“. Москва, 1907 г., гл. 53.

2) საჭიროა მოკლედ აღვნიშნოთ, რომ ბუნებრივ სამართლის თეორიები გამოხატავდნენ კაპიტალისტურ საზოგადოების განვითარების პროცესს ფეოდალურ საზოგადოებიდან. ეს თეორიები მკიდროდ არიან დაკავშირებულნი ბურჟუაზიულ საზოგადოების განვითარებასთან, შეადგენენ ბურჟუაზიის უფლებრივ იდეოლოგიის ძირითად ელემენტს და აქვთ ხანგრძლივი ისტორია, სავაჭრო კაპიტალიზმის განვითარებამ ძველ საბერძნეთში წარმოიშობა ძველ ფილოსოფოსთა—სოკრატის, არისტოტელის და სხ. თხზულებებში იდეები რომელნიც უახლოვდებოდნენ ბუნებრივი სამართლის თეორიებს. იგივე იდეები ჰპოვებენ უფრო მკაფიო გამოხატულობას ძველი რომის სამართალში. უმაღლეს განვითარებას ბუნებრივმა სამართალმა მიაღწია სავაჭრო კაპიტალიზმის უახლოეს ეპოქაში (საშუალო საუკუნეებში). შემდგომი განვითარება ბუნებრივი სამართლის თეორიებმა ჰპოვეს XVII საუკ., როდესაც მოხდა სავაჭრო კაპიტალიზმის

პოზიციის საბოლოო განმტკიცება, და XVIII საუკ., როდესაც სავაჭრო კაპიტალიზმი გადადის სამრეწველო კაპიტალიზმში. ბურჟუაზია თავის დროზე წარმოდგენდა რევოლ. კლასს ფეოდალურ წეს-წყობილების წინააღმდეგ და ბუნებრივი სამართლის თეორიებიც ცოცხლობდნენ იმდენად, რამდენადაც იგინი გამოხატავდნენ ამ კლასის რევოლუციურ მისწრაფებებს. XIX საუკუნეში ბურჟუაზია თვით ხდება რეაქციურ კლასად და მასთან ერთად იწყება მისი უფლებრივი იდეოლოგიის სიცოცხლის მოსპობაც. (ამის შესახებ იხ. Разу-мовский „Естественное право“ в „Энциклопедии государства и права“, вып. 2.).

თანხმებაში. ეს არის არსებითი უფლება ადამიანისა და მოქალაქისა, არსებითი უფლებანი ადამიანისა არ შეიძლება დამოკიდებულნი იყვნენ წმინდა რელიგიურ განკარგულებებზე. წარსულ საუკუნის 60 წლებში ეს მესამე ტიპი ქორწინებისა შემოღებული იყო რუმინეთში, იტალიაში და ესპანეთში, 1874 წ. პრუსიაში, 1875 წ.—გავრცელდა გერმანიის მთელ იმპერიაში, ბოლოს დროს შემოღებულია უნგრეთში, და არსებობს აგრეთვე ბელგიაში, ჰოლანდიაში. 1).

რაც შეეხება რუსეთს, აქ სამოქალაქო წესი ქორწინებისა შემოღებული იყო 1874 წ., მაგრამ არა ყველა მოქალაქისათვის, არამედ მარტო ეგრედ წოდებულ „რასკოლნიკებისთვის“. 1874 წლის 19 აპრილის კანონით „რასკოლნიკების“ ქორწინება ცნობილია კანონიერად, თუ იგი გატარებულია რეგისტრაციაში ე. ი. ჩაწერილია მეტრიკის წიგნებში, რომლებსაც აწარმოებდნენ საპოლიციო ორგანოები. 1879 წელს აღნიშნული კანონი გავრცელებული იყო ბაპტისტებზედაც. 2).

ოქტომბრის რევოლუციამ ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის საკითხთან ერთად გადასწყვიტა აგრეთვე საკითხი საქორწინო ინსტიტუტის შესახებ: ქორწინება გამოცხადებულია უბრალო შეთანხმებად ანუ ხელშეკრულებად, რომლის პირობების (დაბრკოლებანი და სხ.) მოწესრიგება და რეგისტრაცია ექვემდებარება საერო სახელმწიფოებრივ ორგანოს და არა ეკლესიას. სამოქალაქო ქორწინება სავალდებულოა ყველასათვის, მაგრამ ამავე დროს მოქალაქეს ეძლევა უფლება, თუ ჰსურს. სამოქალაქო რეგისტრაციის შემდეგ შეასრულოს ქორწინების საეკლესიო წესიც, ხოლო უკანასკნელს არა აქვს იურიდიული მნიშვნელობა. ეს ასეც უნდა მომხდარიყო. ჩვენ უკვე აღნიშნეთ ზემოთ, რომ საზოგადოების საწარმოო ძალთა (განსაკუთრებით ტენიკის) განვითარება სცვლის საზოგადოების ეკონომიურ სტრუქტურას, ხოლო უკანასკნელი სცვლის თავის ზედნაშენებს: სამართალს, პოლიტიკურ წესწყობილებას, რელიგიას, ზნეობას, მეცნიერებას და სხ. რუსეთში კაპიტალიზმის განვითარებამ წარმოშობა თავისი მესაფლავე-პროლეტარიატი. 1890 წლებიდან მუშების და ღარიბ გლეხობის ძალა იზრდება და მივიდა იმ დონემდე, როდესაც ამ კლასის ძალა აღემატებოდა სხვა კლასების (გაბატონებულ) ძალას. მოხდა რევოლუცია, მოხდა მოწინააღმდეგე ძალების (მუშების და გაბატონებულ კლასების) შეჯახება და ცხოვრების სათავეში მოექცა მუშათა კლასი. შეიცვალა საზოგადოების ეკონომიური სტრუქტურა და მასთან ერთად შეიცვალნენ აგრეთვე მისი ზედნაშენებიც, მათ შორის სამართალიც. ახალმა საზოგადოებრივ-საწარმოვო ურთიერთობებმა ახალი შინაარსი შეიტანეს რუსეთის სამართალში და კერძოდ საქორწინო ინსტიტუტის სფეროში. რას ვხედავთ ეხლა? რანაირია პოზიცია მუშათა კლასისა რელიგია-ეკლესიისა და ქორწინების მიმართ? პროლეტარიატის თვალსაზრისით და მისი ინტერესების მიხედვით ყოველი რელიგია

„ოპიუმია ხალხისათვის“. მისთვის საჭირო არაა რაიმე გვარი იარაღი ბატონობისა და ექსპლოატაციისა, მისთვის არ არსებობს ჭეშმარიტი და არა ჭეშმარიტი რელიგია, ყველა რელიგია მისთვის მავნებელია, ვინაიდან ყოველი რელიგია არის ცრუმორწმუნობა და ერთნაირად უბნელებს მას ჭკუა გონებას და ერთნაირად ახვევს მას ცრუმორწმუნობის ბურუსში. ამისათვის პროლეტარიატის უკანასკნელი მიზანია რელიგიის სრული მოსპობა და მეცნიერულ შეხედულობათა გავრცელება ხალხში როგორც ბუნების, ისე საზოგადოებრივ ცხოვრების მოვლენებზე, მაგრამ, მანამ იგი ამ უკანასკნელ მიზანს მიღწევდეს, მისი ინტერესი მოითხოვს, რაც შეიძლება მეტად შეავიწროვოს სფერო რელიგიის გავლენისა და მოქმედებისა. აქედან გამომდინარეობს: რელიგიის აღიარება კერძო საქმედ, სახელმწიფოსაგან ეკლესიის ჩამოშორება, უკანასკნელის ჩარევის მოსპობა საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ცხოვრების დარგებში, უარყოფა ქორწინებისა, როგორც საიდუმლოებისა, რომელიც ვითომც დაწესებულია ღვთის მიერ, და მისი აღიარება უბრალო ხელშეკრულებად, რომლის პირობების დაწესება და რეგისტრაცია ექვემდებარება საერო სახელმწიფოებრივ ორგანოებს და არა ეკლესიას. სწორედ ამ პრინციპებზეა აშენებული რუსეთის საბჭოთა საქორწინო სამართალი და კერძოდ „დეკრეტი № 28. საქართველოს ს. ს. რ. რევოლუციური კომიტეტისა მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტების შესახებ“. ეს სამართალი, მაშასადამე, გამოჰხატავს იმ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემას, რომელიც დამყარდნენ რუსეთში ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. ამგვარად, საბჭოთა რუსეთმა ერთბაშად შემოიღო სამოქალაქო ქორწინება ნაცვლად საეკლესიო ქორწინებისა და სახელმწიფოსაგან ეკლესიის ჩამოშორების საკითხთან ერთად გადასჭრა საკითხი მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტების წარმოების შესახებაც. აქ მეტი არ იქნება აღნიშნოთ კიდევ ერთი ახალი მიმდინარეობა რუსეთის საბჭოთა საქორწინო სამართლის სფეროში, რომელი მიმდინარეობაც გამოწვეულია თვით ცხოვრების მიერ: თუ, როგორც ზემოთ განვმარტეთ, ქორწინება არის რამაკაცსა და დედაკაცს შორის დამყარებული კავშირი, ტომელიც, ვარდა ფიზიოლოგიური მომენტისა, გამოიხატება აგრეთვე იმაში, რომ ეს დაკავშირებულნი პირნი ცხოვრობენ ერთად, აქვთ საერთო მეურნეობა და საერთო შრომითი ორგანიზაცია, ზრუნავენ და ზრდიან თავიანთ შვილებს საერთო ძალ-ღონით, თუ ამგვარად ქორწინების ანუ ცოლქმრულ კავშირის არსს შეადგენენ სწორედ ეს ელემენტები,—მაშასადამე, მიუხედავად იმისა, გატარებულია თუ არა ეს კავშირი რეგისტრაციაში, იგი მაინც იქნება ცოლქმრული კავშირი, თუ რასაკვირველია არსებობენ ზემოთ ჩამოთვლილი არსებითი ელემენტები ცოლქმრობისა. არსი ორივე ცოლქმრობისა—ფაქტიურისა და რეგისტრაციაში გატარებულისა—ერთი და იგივეა. რეგისტრაციას ჯერ-ჯერობით აქვს მხოლოდ ის ფორმალური უპირატესობა, რომ იგი სრულიად უდავოდ და უფრო ადვილად ხდის მეუღლეთა და ბავშვთა პირადი და ქონებრივი უფლებების დაცვას, ვინაიდან რეგისტრაციაში გატარებული დავო ფაქტად ხდის მეუღლეობას. ბრანდენ-

1) იხ. Н. Суворов. „Учебник Церков. права“, Москва 1902 г., гл. 381—382. „Энциклопедич. словарь“ Брокгауза и Ефроса, т. IV, „Брок.“
2) იხ. Н. Суворов. ibib. гл. 381—382.



ბურგსკი ამბობს, რომ რუსეთში 100 მილიონ მოსახლეობაზე დაახლოებით მოდის 70—100 ათასამდე ამგვარი ფაქტიური რეგისტრაციაში გაუტარებელი ქორწინება.¹⁾ აქედან სჩანს, რომ ფაქტიური ქორწინებანი ანუ ცოლქმრული კავშირები სინამდვილეში არსებობენ და რასაკვირველია თვით სამართალსაც უნდა გაუწიოს ანგარიში ცხოვრების ამგვარ ფაქტებს. ვფიქრობთ, რომ ცხოვრება ამ მიმართულებით მიმდინარეობს და სამართალიც ამას უნდა მისდევდეს: არც მოტაცება და არც სყიდვა საცოლოსი, არც საეკლესიო და არც სამოქალაქო წესი ცოლის შერთვისა, მხოლოდ ფაქტიური ცოლქმრობა, დამყარებული მხარეთა თავისუფალ შეთანხმებაზე, — აი ის გზა, რომლითაც მიმდინარეობს საქორწინო ინსტიტუტის განვითარება.²⁾

ზემო თქმულიდან ჩვენ შეგვიძლიან გამოვიყვანოთ შემდეგი მოკლე თეზისები:

1) ქორწინების განხილვა შეიძლება სხვადასხვა ნიშნების მიხედვით: ა) რაოდენობა პირთა, რომელნიც მონაწილეობენ ცოლქმრულ კავშირში. ამ მხრივ ისტორიამ იცის ქორწინება მონოგამიური, პოლიგამიური, პოლიანდრიული. ბ) კავშირის ხანგრძლივობა და განქორწინების შესაძლებლობა. გ) შინაარსი საქორწინო კავშირისა. ამ მხრივ ქორწინება შეიძლება იყოს ბურჟუაზიული და პროლეტარული. დ) ცოლქმრული კავშირის დადების ანუ შეკერის გარეგანი წესები და ფორმები და სხ.

2) ისტორიამ იცის შემდეგი წესები ქალის ცოლად შერთვისა: მოტაცება, მოპარვა, სყიდვა, გაცვლა, სარწმუნოებრივი და სამოქალაქო წესები, რომელნიც გამოიხატებოდნენ ადათსა და სამართლის ნორმებში (კანონი).

3) ძირითადი მამოძრავებელი ფაქტორი ისტორიული პროცესისა არის საზოგადოების ეკონომიური სტრუქტურა, რომელიც თვით დამყარებულია საწარმოო ძალთა (განსაკუთრებით ტენიკის) განვითარებასა და მდგომარეობაზე. სამართალი, ადათი და ზნე-ჩვეულებანი, პოლიტიკური წესწყობილება, ზნეობა, რელიგია, ოჯახი, ქორწინება, მისი ფორმები და სხ. შეადგენენ ეკონომიურ სტრუქტურის ზედნაშენებს. იცვლება საწარმოო ძალთა მდგომარეობა და იცვლება საზოგადოების ეკონომიური სტრუქტურაც; იცვლება ეკონომიური სტრუქტურა და მასთან ერთად იცვლებიან მისი ზედნაშენებიც, მათ შორის კერძოდ საქორწინო სამართალიც (ადათი და კანონი ქორწინების წესების შესახებ), რომელიც არის გამოხატველი საზოგადოებაში დამყარებულ საზოგადოებრივ-საწარმოო ურთიერთობათა სისტემისა.

4) ოქტომბრის რევოლიუციამ შესცვალა რუსეთის ეკონომიური სტრუქტურა (კლასური ურთიერთობანი). უკანასკნელმა შესცვალა თავისი ზედნაშენებიც, მათ შორის სამართალი და კერძოდ ცოლქმრული კავშირის დადების წესებიც. ნაცვლად წინანდელი სარწმუნოებრივ-საეკლესიო წესისა, კანონიერად და სავალდებულოდ აღიარებულია სამოქალაქო რეგისტრაცია ცოლქმრული კავშირისა. იურიდიული მნიშვნელობა მოიპოვა აგრეთვე ფაქტიურმა ქორწინებამაც.

ე. მირიანაშვილი.

კერძო დანაშაულის შესახებ¹⁾

კერძო დანაშაულად იწოდება ისეთი დანაშაული, რომელსაც სახელმწიფო თავისი ინიციატივით კი არ სდევნის, არამედ ამას ანდობს კერძო პირს (დაზარალებულს).

კერძო დანაშაულის საკითხს ხშირათ კერძო ბრალდების საკითხში ურევენ, რაც ჩვენის აზრით, შეცდომაა, რადგანიც მეორე საკითხი თავისი მოცულობით გაცილებით უფრო ფართე საკითხია. ჩვენ აქ შევეხებით მხოლოდ — პირველს.

პირველი საკითხი, რომელზედაც უნდა ვუპასუხოთ, ისაა, რატომ უწოდობენ ამ დანაშაულს კერძოს? ნუ თუ იმიტომ, რომ მასში საჯარო ინტერესი არ არის? ყველა დანაშაული, პიროვნების წინააღმდეგ მიმართული, ეწინააღმდეგება აგრეთვე სახელმწიფოს ინტერესებს, რამდენადაც არღვევს უკანასკნელის მართლ რეჟიმს; ასე რომ ასეთი დანაშაულობანი იმიტომ კი არ იწოდებიან კერძოთ, რომ მასში საჯარო ინტერესი არ არის, არამედ იმიტომ, რომ კერძო დანაშაულთა შესახებ საქმის აღძვრის ინიციატივა კერძო პირს ეკუთვნის.

მეორე საკითხი ისაა, რა საფუძვლით გადასცემს კანონმდებელი ასეთ უფლებას კერძო პირს? ეს ძალიან ბუნდოვანი საკითხია და იურიდიულ ლიტერატურაში არ არის მითითებული ერთ საფუძველზე, რომელზედაც კანონმდებელი უნდა ემყარებოდეს. ასეთ საფუძვლათ ასახელებენ: დაზარებულის ინტერესს, საერთაშორისო ინტერესს, ადმინისტრაციულს და სხვ.. მაგრამ არც ერთი დასახელებული საფუძველი არ ამოსწურავს ყველა ასეთ დანაშაულს.

მაგალითად: დაზარალებულის ინტერესს უეჭველია ეწევა ანგარიში სახელმწიფოსაგან, როცა სქესობრივი დანაშაულის დროს, საქმის დაწყების ინიციატივა დაზარალებულს ეკუთვნის, რადგანაც ზოგჯერ დაზარალებულისათვის უფრო საზიანოა — პროცესის დაწყებით საქმის გახმაურება, მაგრამ ეს ითქმის მხოლოდ ზოგიერთ სქესობრივ დანაშაულზე და არა ყველა დანაშაულზე. ასეა სხვა დასახელებული ინტერესიც. ამრიგათ, საერთო საფუძველი არ არის, შეიძლება მხოლოდ იმის თქმა, რომ ამა თუ იმ სახელმწიფოს სისხლის სამართლის პოლიტიკა განსაზღვრავს საბოლოო ჯამში ასეთ საფუძველს.

მესამე საკითხია: როგორია იურიდიული ბუნება კერძო დანაშაულის დროს აღძრულ საჩივრისა? ამ სა-

¹⁾ იხ. Я. Н. Бранденбургский „Брак и семья“, Москва. 1926 г., გვ. 5.

²⁾ საქართველოს ცაკის მესამე სესიამ მიიღო საქორწინო კანონი, რომლის ძალით იმ მუდღეოთ, რომელთა ქორწინებაც არ ყოფილა გატარებული რეგისტრაციაში, ისეთივე უფლებები აქვთ, როგორც რეგისტრაციაში გატარებულ ქორწინებით შეუღლებულ პირთ. განსხვავება მათ შორის მხოლოდ ფორმალურია ე. ი. პირველი თაყიანთი ქორწინების დამტკიცება უზღუდათ სასამართლოს შემწევობით, მაშინ როდესაც რეგისტრაციაში გატარებული ქორწინება ამგვარ დამტკიცებას არა თხოვლობს და იგი უკვე დადასტურებულია თვით რეგისტრაციის ფაქტით.

¹⁾ დისკუსიის წესით.

კითხის შესახებ სხვადასხვა შეხედულება არსებობს: 1) საჩივარი არის კერძო დანაშაულის შემადგენლობის არსებითი ნიშანი და საჩივრამდე მოქმედება არ არის პასუხსაგები; 2) საჩივარი არის ერთი პირობა სისხლის სამართლის დევნის დაწყებისა და დანაშაული იწყება მისი ჩადენიდან; 3) საჩივარი არის საფუძველი დანაშაულისა და სოციალური დაცვის ღონისძიების მიყენების. ჩვენის აზრით სწორია მეორე შეხედულება, რადგანაც საჩივარი ვერ წარმოშობს დანაშაულს, ის თუ არ არსებობს, არამედ პროცესს აძლევს მსვლელობას უკვე არსებულ დანაშაულზე.

განსაკუთრებულობა კერძო დანაშაულის გამო აღძრული საჩივრისა—მდგომარეობს იმაში, რომ ის უახლოვდება ზოგიერთ მომენტებში სამოქალაქო სარჩელს (საქმის დაწყების ინციატივა, შერიგებით საქმის გათავება განაჩენის გამოტანის შემდეგაც კ).

მთელი სიძნელე კერძო დანაშაულის საკითხისა მდგომარეობს იმაში, რომ ეს დანაშაული მასიური ხასიათისაა. საქმეების აუარებელი რიცხვი სისხლის სამართლის პროცესში კერძო დანაშაულის შესახებ აღძრულ საჩივარს ეკუთვნის. რუსეთის სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ სასამართლოში შემოსულ საქმეთა რიცხვიდან დაახლოვებით 35—40 პროც-დე კერძო დანაშაულს ეკუთვნის. ამიტომ სასამართლოს განტვრთვის თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა აქვს, თუ რა ხასიათის წარმოებას დაუმორჩილებთ კერძო დანაშაულის საქმეს.

სისხლის სამართლის პროცესის გამარტივებასთან დაკავშირებით, ეს საკითხი, სასამართლოს განტვრთვის თვალსაზრისით, ძალიან მწვავეთ დაისვა ამ ბოლო დროს

რუსეთში და საქართველოშიც. მრავალი ითქვამს, მრავალი დაიწერა ამის შესახებ ამ ერთ წლის განმავლობაში განსაკუთრებით.

ყველა აზრი ამ საკითხზე გამოთქმული, შეგვიძლია ჩამოვყალიბოთ შემდეგ შეხედულებათ: 1) კერძო დანაშაულის შესახებ საქმე უნდა გადაეცეს შემრიგებელ ორგანოებს, რომლებიც დაარსდებიან პროექტივობისა და თემსაბჭოებთან; საჩივარი აღიძრება დაზარალებულის მიერ. ამ შეხედულებაზე სდგას რსფსრ საპროცესო კოდექსის ახალი პროექტის მე-6 მუხლის მეორე რედაქცია (ამ მუხლის ავტორი კრილენკოა).

ხსენებული შეხედულების დასასაბუთებლათ მის ავტორებს მოყავთ შემდეგი საფუძვლები: ა) კოლექტივის თვალსაზრისით კერძო დანაშაული ნაკლებ საინტერესოა, რადგან ის არ წარმოადგენს დიდ საფრთხეს საზოგადოებისათვის; მასში ნაკლებია საჯარო ინტერესი; ბ) ისეთი წვრილი საქმეები, როგორიც კერძო დანაშაულია, რეპრესიას კი არ საჭიროებენ, არამედ ამხანაგურ შენიშვნას, კულტურულ პრობაგანდას და სხვ.; გ) რიცხვი კერძო დანაშაულისაგან წარმოებულ საქმეებისა დიდია და მისი მომრიგებელ ორგანოზე გადაცემით სასამართლო განტვრთვება; დ) კერძო დანაშაული ძალიან მარტივი საქმეა, ასე რომ მას თავისუფლათ დასძლევს მომრიგებელი ორგანოები; ე) დიდი ნაწილი კერძო დანაშაულისაგან წარმოებულ საქმეებია თავდება შერიგებით, ნაწილი ისპობა დაზარალებულის გამოუცხადებლობით, ნაწილის შესახებ გამოაქვთ გამამართლებელი განაჩენი და ყველა ამის გამო სასამართლოს მუშაობა უნაყოფო გამოდის, ამიტომ, ასკვნის ეს მიმართულება: სასურველია ეს საქმეები გადაე-

გამოკვლევის შედეგები

(წალკის სახალხო სასამართლოს გამოკვლევის მოხსენებიდან).


რათა უფრო ვრცლად და ყოველმხრივად შესწავლილი ყოფილიყო სახალხო სასამართლოს მუშაობა, კომისიამ სპეციალურ გამოკვლევამდე დაიარა ყველა ის სოფლები, რომლებსაც აერთიანებს წალკის სახალხო სასამართლო; ამით კომისიამ დაისახა გამოკვლევის მუშაობაში უშუალოდ ჩაება თვით გლეხობა.

წალკის რაიონი შესდგება 4 თემისაგან და წარმოადგენს 47 სოფელს. კომისიამ დაიარა 27 სოფელი. სასამართლო მდებარეობს სოფელ ბარმაქისში, რომლიდანაც ზოგი სოფლები დაშორებული არიან, დაახლოვებით, 25 ვერსით. გლეხობის უმრავლესობა შესდგება ბერძენებისაგან, ხოლო მცირეთ არიან სომხები, გერმანელები და თათრები; კულტურულად ისინი ძალიან ჩამორჩენილი არიან და მათ შორის მუშაობა ელობება ბევრ გარდაუვალ გარემოებებს. გლეხების სხდომებზე, რომლებსაც ესწრებოდნენ ადგილობრივ თემსაბჭოების, გლეხკომების და პარტორგანოების წარმომადგენელი, კომისია დაწვრილებით უხსნიდა მათ სასამართლოს მუშაობის გამოკვლევის დანიშნულებას, საბჭოთა სამართლის და რევოლუციური კანონიერების მიზანს, რის შემდეგაც მოსა-

მართლვე გამოდიოდა თავის საანგარიშო მოხსენებით-ხოლო ამის შემდეგ გლეხებს ეძლეოდათ საპასუხო სიტყვა და შეკითხვების მიცემის საშუალება.

გლეხების ჩივილი შეეხება სასამართლოს გადაწყვეტილებათა თავის დროზე სისრულეში მოუყვანლობას, საქმეების გარჩევის დაგვიანებას, მოწმეების გამოუცხადებლობის მიზეზით; შორეულ სოფლებში სესიების იშვიათობას, და ზოგ შემთხვევაში კონკრეტულ, როგორც სისხლის სამართლის ისე სამოქალაქო საქმეების არა სწორედ გადაწყვეტას.

იმის შემდეგ, რაც კომისიამ ჩაატარა გლეხთა სხდომები მოწვეულ იქნა რაიონის პარტიულ კომიტეტის პლენუმის სხდომა, სადაც დაესწრო, წევრების გარდა, პარტაქტივიც. აქაც ვაკეთდა მოხსენება სასამართლოს ორგანოების მნიშვნელობის და კომისიის დანიშნულების შესახებ; გამომსვლელი ამხანაგები აღნიშნავდნენ იგივეს, რასაც სჩიოდნენ თვით გლეხები, თუმცა დაადასტურეს, რომ მოსამართლვე პროცესის მიერ სასამართლოს მუშაობაში აღებულია სწორი კლასობრივი ხაზი და აგრეთვე ხაზგასმით დაადასტურეს, რომ გლეხობაში მას აქვს ნდობა და საჭირო ავტორიტეტი. ამავე სხდომაზე პარტკომის მდივნის მიერ გაკეთებული იქნა ინფორმაციული მოხსენება პარტიის ხელმძღვანელობაზე სასამართლოს მიმართ, საიდანაც გამოიკვეა, რომ მთელი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პარტიულ კრებაზე სასამართ-



ეს მომრიგებელ ორგანოებს, რითაც საგრძნობლათ შემსუბუქდება სასამართლოს მუშაობა და ფართე შესაძლებლობა იქნება ბიუროკრატიზმის აღმოფხვრელათ.

ჩვენის აზრით საკითხის ასეთი გადაჭრა არ არის სწორი. პირველი საფუძვლის (ა) შესახებ ჩვენ უკვე ვსთქვით, რომ ყოველ დანაშაულში არის საჯარო ინტერესი საზოგადოებრივი ურთიერთობა ქმნის უარყოფით შეხედულებას ადამიანის მთელ რიგ მოქმედებათა შესახებ, ამ შემთხვევაში მოკარნახევა ვაბატონებული კლასი, რომელიც თავის ორგანოს—სახელმწიფოს საშუალებით დანაშნულათ აცხადებს ყველა მისთვის საზიანო მოქმედებას. ამისდა მიხედვით პრინციპიალური განსხვავებაა ბურჟუაზიულ სახელმწიფოების და საბჭოთა სახელმწიფოს შორის დანაშაულის შეფასებაში, ყველაზე უფრო საინტერესოა აქ ის არის, რომ კერძო დანაშაულობანი სწორეთ ისეთი მოქმედებანია, რომლებიც წამოიჭრებიან ყოველდღიურ ცხოვრებაში ახალი ყოფაცხოვრების ნიადაგზე და რომელთა შეფასებაში ჩვენს სახელმწიფოს დიამეტრულათ საწინააღმდეგო კრიტერიუმი აქვს ბურჟუაზიულ სახელმწიფოებთან შედარებით. ასეთ მოქმედებათა მიმართ სათანადო რეაქციით სახელმწიფო ხელს შეუწყობს ახალი ყოფაცხოვრების განვითარებას.

საინტერესოა სწორეთ ასეთა წვრილმანი საკითხების ახალ ნიადაგზე გაშუქება, თორემ კაცის მკვლელობას ყველა სახელმწიფოები სდევნის. ამას გარდა არ შეიძლება დანაშაულის სიმარტივის ისეთი შეფასება, რომ რაზან დანაშაულებრივი ქმედობა მარტივია, ამიტომ ის უმნიშვნელოა, ნაკლებ საფრთხიანი და სხ... შეიძლება დანაშაულა ძალიან მარტივი იყოს მაგრამ ძლიერ საფრთხიანი

დაპირიქით—რთული იყოს და ნაკლებ სახიფათო. რომ კერძო დანაშაული არც ისე უმნიშვნელოა, ამისათვის მოვიყვანო ვ. მოკეცივის მაგალითებს (საბჭ. ყოვ. № 33, 1927 წ): 1) დედა ჩივის, რომ შეიღმა სცემა ხელებით და ფეხებით; არის ექიმის მოწმობა, რომ დედა ცემისაგან არის დაშავებული; საქმე მოისპო დაზარალებულის გამოუცხადებლობის გამო. 2) გლენს, გვართ პერვილეს ყრუ ადგილას დახვდენ მისი სოფლელები, მათ მას სცემეს მაგრათ და განზრახული ჰქონდათ მისი მოკლა, მაგრამ მგზავრებმა ხელი შეუშალეს. საქმე შეწყდა დაზარალებულის თხოვნით. 3) ძმებმა №№ დახვდენ ერთს 18 წლის გლენს და მაგრათ სცემს; გალახული ცოცხალ-მკვდარი წაათრეს სახლში და სცემეს ბოთლებითა დქვებით; მოაბრუნებდენ თუ არა გონება-დაკარგულ ახალა გაზრდას წყლის სხურებით, კვლავ განაგრძობდენ ცემას, საქმე გათავდა შერიგებით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საზოგადოებრივი საფრთხიანობის თვალსაზრისით ასეთი საქმეები უფრო საინტერესოა, ვინემ გაუფროხილებელი მკვლელობა.

არ გამოდგება საბუთად აგრეთვე სასამართლოს განტვირთვა. საერთო სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით ასეთი განტვირთვა არაფერს არ ნიშნავს, რადგანაც სასამართლოს ნაცვლათ იტვირთება მეორე ორგანო, რომელიც სრულებით მოუშაადებელია ამ საქმისათვის; უკეთეს შემთხვევაში ეს ორგანო იქნება სუროვატი სასამართლოსი, რომელიც (მომრიგებელი ორგანო) საქმეს გააჩვენებს არა კანონების მიხედვით, არამედ როგორც შეხვდება. არავინ არ ამბობს: რა ეკონომია ექნება სახელმწიფოს ასეთი ორგანოს შექმნით? ჩვენ ვფიქრობთ, რომ არავი-

ლოს საკითხი დასმული ყოფილა მხოლოდ ერთხელ ისიც მსაჯულთა გადარჩევის შესახებ.

ასეთ პირობებში დაგროვილ მასალებით, კომისია შეუდგა თვით სასამართლოს მუშაობის შესწავლას. გადათვალიერებულ იქნა სასამართლოს მთელი რიგი სისხლის სამართლის, სამოქალაქო, საადგილმამულო და შრომის საქმეები. ამ შესწავლამ კომისია იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ სასამართლოს მუშაობის ტემპი საესებით დამაკმაყოფილებელია; მაგალითად 1927 წლის 1-ლ იანვრისათვის რჩებოდა გაურჩეველი სისხლის სამართლის 193 და სამოქალაქო 258 საქმე; 1927 წლის განმავლობაში შემოვიდა სისხ. სამ. 941 და სამოქალაქო 1662 საქმე. ამ პერიოდში გაირჩა სისხ. სამარ. 912 და სამოქ. 1647 საქმე. საადგილმამულო და შრომის საქმეები ასეთივე სურათს იძლევიან; ამრიგად გაურჩეველად დარჩენილია სისხ. სამ. 29 და სამოქალაქო 115 საქმე. საქმე მიღების შემდეგ მიმდინარეობს, არა უმეტეს ორ თვისა, ხოლო საქმეების გადადება კი, შედარებით, გახშირებულია, რაც ერთის მხრივ აიხსნება მოწმეების გამოუცხადებლობით სასამართლოში, მიუხედავთ თავის დროზე ჩაბარებულ უწყებებისა. გადიდებულ საქმეთა პროცენტი დაახლოებით უდრის 20--25 პროც. აღსანიშნავია სასამართლოს სისუსტე გამოუცხადებელ მოწმეების მიმართ. გარდა ზემოხსენებულისა საქმეებიდან სჩანს, რომ სასამართლოს მიერ უწყებები იგზავნება თავის დროზე,

ხოლო მილიციის მიერ კი დროზე არ არის მოწოდებული. ცნობები უწყებების ჩაბარების შესახებ. ამრიგად სასამართლო იძულებულია გადასდოს საქმე და არც უფლება აქვს მიიღოს იძულებითი ზომები გამოწვეულ მოწმის მიმართ.

მოწმეების გამოუცხადებლობასთან დაკავშირებით და თვით გლენების ჩვილის გამო, რომ სასამართლო სესიები იშვითათად ეწყობიან, კომისია სთვლის, რომ მართლაც ამ საკითხშიაც სასამართლომ გამოიჩინა სისუსტე: 1927 წლის განმავლობაში მოეწყო სესიები ხუთ ადგილას და ხსენებულ სესიებზე სასამართლომ დაპყროცი დღე, ხოლო ნორმალურად კი საჭიროა, რომ სასამართლო თვის განმავლობაში იყოს სესიაში არა ნაკლებ 10 დღისა, ამავე დროს სესიები ეწყობოდნენ არა და შორებულ ადგილებზე, არამედ თემის ცენტრებში, 1928 წლის 1/1—1-7-დღე სესიები მოეწყო სამჯერ და სასამართლომ ამაზე დახარჯა 12 დღე; ამრიგად არც 1928 წელს გამოჯანსაღებულა სესიების მოწყობის საქმე და ამ დარგში სასამართლოს მასებთან დაახლოების დარეჟტივა შეუსრულებლად უნდა ჩაითვალოს.

მსაჯულების გადარჩევის კომპანია არ ჩატარებულა წესისამებრ, რასაც ადასტურებს ის გარემოება, რომ გადარჩევის დროს მისამართლეს მიერ საანგარიშო მოხსენება მსაჯულთა გადარჩევის მნიშვნელობაზე გაკეთებულია მხოლოდ შვიდ სოფელში 48 სოფლის რიცხვიდან.

მოსამართლეს განმარტებით მსაჯულების გამოცხად-



თარი. თავისი ბუნებით კი, სასამართლოს ასეთი სურო-
გატები ეწინააღმდეგება სასამართლოს ერთიან პოლიტი-
კას და არღვევს სისხლის სამართლის პოლიტიკის ამო-
ცანას: „განხრციელება რევოლიუციონურ კანონიერების
მოქალაქეთა პიროვნულ და ქონებრივ მიმართებაში“ (სსსრ
ძირ. საფუძ.).

ამას გარდა ამით აშკარათ ირღვევა დაზარალებუ-
ლის უფლება, როცა მას არ შეუძლია საბჭოთა სასამართ-
ლოს მიმართოს.

სად უნდა დაარსდეს მომრიგებელი ორგანოები?
რსფსრ პროექტით პროფკავშირებთან და თუ შესაძლე-
ბელია თემსაბჭოებთან. რა ქნას არა კავშირის წევრებმა?

ვის მიმართოს გლახებმა, თუ თემსაბჭოებთან ვერ
მოხერხდა ასეთი ორგანოების დაარსება? (თემსაბჭოებთან
მომ. ორგანოს დაარსების დიდ სიძნელეს თვითონ კრი-
ლენკო აღნიშნავს (საბ. ყოვ. № 47, 1927 წ.). ეს საკით-
ხები გაურკვეველი რჩებიან.

ასახელებენ აგრეთვე დაზარალებულის გამოუცხა-
დებლობას, როგორც საფუძველს საქმის მომრიგებელ ორ-
განოზე გადაცემისათვის. ამის შესახებ ჩვენ უნდა ვსთქ-
ვათ, რომ დაზარალებულის გამოუცხადებლობა ტენზიკუ-
რი საკითხია, მას ჩვენ უნდა ვებრძოლოთ, და ამისათვის
სასამართლოს კომპეტენციისაგან ასეთი საქმეების ამო-
ღება დიდი შეცდომაა; ამას გარდა ვის შეუძლია სთქვას-
რომ მომრიგებელ ორგანოში ყველა დაზარალებული გა,
მოცხადდება?

უკანასკნელ საფუძველთ მოჰყავთ გამართლება ბრალ-
დებულის, მაგრამ გამართლება მკვლელობის დროსაც
ხდება, თუმცა მისი ამოღება სასამართლოს კომპეტენ-

ციისაგან არავის უფიქრია. ყველა ამის გამო ჩვენ ვფიქ-
რობთ, რომ ეს შეხედულება შემცდარია.

მეორე მიმართულება ამბობს: კერძო დანაშაულზე
წარმოებული საქმე საზოგადოებისათვის უმნიშვნელოა,
მარტივია, არ მოითხოვს სამი პირის ყურადღებას და
ამიტომ უნდა გაარჩიოს ერთპიროვნულმა სასამართლომ.

ჩვენ მნიშვნელობასა და სიმარტივეზე საკმაო ვი-
ლაპარაკეთ. რაც შეეხება ერთპიროვნულ სასამართლოს,
ამის შესახებ უნდა ვსთქვათ, რომ, თუ რომელიმე დანა-
შაულის გარჩევის დროს საჭიროა საზოგადოების წარმო-
მადგენლის მონაწილეობა სასამართლოში, ყველაზე უფრო
ეს ითქმის კერძო დანაშაულზე, რადგანაც სწორეთ აქ
ვხდებით ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრების საკითხებს, რო-
მელთაც უფრო იცნობს სახალხო მსაჯული.

მესამე მიმართულება სტოვებს არსებულ მდგომარე-
ობას (მომქმედი კოდექსები), სბოლოთ შეაქვს ცოტა
შესწორება არსებული მდგომარეობით საქმის აღძვრის
ინიციატივა ეკუთვნის კერძო პირს, საქმეს გაარჩევს სა-
სამართლო (კოლევიალური). ამ თვალსაზრისზე სდგას
რსფსრ საპროცესო კოდექსის ახალი პროექტის პირველი
რედაქცია 6 მუხლისა და საქართველოს სისხ. სამ. საპ.
კოდ. გამარტივების შესახებ იუსტსახკომთან მოწვეული
თათბირი (საბჭ. სამ. № 9). განსხვავება რუსეთის პრო-
ექტსა და თათბირის თეზისს შორის შემდეგშია: რუსე-
თის პროექტი უარყოფს რუსეთის მომქმედ საპროცესო
კოდექსის 10 მუხლს, რომლითაც საქმის მოსპობა შესაძ-
ლებელია შერიგებით განაჩენის გამოტანის შემდეგაც კი
და ღებულობს საქ. საპრ. კოდექსის 10 მუხლს, ე. ი.
საქმის მოსპობა შეიძლება მხოლოდ განაჩენის გამოტანამ-

ღება სასამართლოში სდგას თავის სიმაღლეზე, ხოლო
მათი აქტივობა კი ძალიან მცირეა, რაც აიხსნება მათი
მოუშხადებლობით და თავის დროზე მათთან სათანადო
მუშაობის ჩაუტარებლობით.

რაც შეეხება საქმეების შინაარსს, აღსანიშნავია,
რომ მომეტებული ნაწილი სისხლის სამართლის საქმე-
ებისა მოდის კერძო საჩივრით აღძრულ საქმეებზე; შემ-
დეგ მოსდევს ქორდობის საქმეები, თვითნებობის და შემ-
დეგ ტყის გაჩეხის საქმეები წალკის რაიონის სა-
სამართლოში არ აღმოჩნდა ხოლო ადგილობრივ ხასია-
თის ბოროტმოქმედებათა შორის თვალსაჩინო ადგილი
უჭირავს ექიმბაშობას, რომელსაც სასამართლო ებრძვის
დაკვრითი წესით. საქმეთა გადათვალთვლების დროს არ
აღმოჩნდა მეცხაშეობის საქმეები, ხოლო რაიონში გავლის
დროს კი აშკარა ხდება, რომ ასეთ ბოროტმოქმედებას
უნდა ჰქონდეს ადგილი და ამის გამო კომისია იმ დასკვ-
ნამდე მიდის, რომ სასამართლომ ვერ შეჰქმნა ისეთი პი-
რობები, რომ ამ გვარი საქმეები გამოაშკარავებულიყო.

მიწის ყიდვა-გაყიდვის საქმეთა რიცხვი მცირეა და
უფრო ხშირია მიწის ნაკვეთის განსხვავება ნაშენთან
ერთად.

არც შრომის საქმეებია მრავალი, მიუხედავად იმი-
სა, რომ წალკის რაიონის სოფლებში დიდია მოჯამაგე-
რების რიცხვი და ლოლიკურად უნდა დაუშვათ შრომის
კანონთა ხშირი დარღვევა. ესეც უნდა მივაწეროთ სა-

სამართლოს სისუსტეს და შრომის ორგანოების მუშაობის
უნაყოფობას.

შემოსული შრომის საქმეები ირჩევიან არა უგვიან-
ნეს ორი კვირისა. ალიმენტების საქმეებიც ნაკლებად
აქვს სასამართლოს მიუხედავად იმისა, რომ გლახებთან
მოწყობილ სხდომებზე გამოირკვა, რომ წალკაში გახში-
რებულია გაყრა და მათსადამე ასეთი საქმეები თავდება
შინაურულ წესით. სხვა სამოქალაქო საქმეების რიცხვი-
დან პირველი ადგილი უჭირავთ ვალის დაბრუნების საქ-
მეებს, შემდეგ კი საკუთრებაზე დავას.

როგორც სისხლის სამართლის საქმეები ისე სამო-
ქალაქო საქმეების გარჩევის დროს სასამართლოს კლას-
ობრივი მიდგომა სდგას სათანადო სიმაღლეზე: შრომის
საქმეების განხილვით კომისია დარწმუნდა სასამართლოს
მიერ საბჭოთა სასამართლოს პოლიტიკის სწორი ხაზის
გატარებაში; ასევე ირჩევიან დანარჩენი სამოქალაქო
საქმეები და სისხლის სამართლის საქმეებიც; შრომის და
საალიმენტო საქმეები ინიშნებიან პირველ რიგში და
ირჩევიან დაკვრითი წესით.

თუ კლასობრივი მიდგომა სასამართლოსი სწორეა,
მაინც უნდა დავასახელოთ არა ერთი მაგალითი სოცია-
ლურ დაცვის ღონისძიების შეფარდების დროს, რაც
ამტკიცებს არა სწორ გადახრას ზედმეტ ლმობიერებისა-
კენ; აღმოჩენილია რამოდენიმე სისხ. სამართლის საქმე,

დგ; თათბირის თეზისი კი, პირიქით უარყოფს საქ. საპრ. კოდექსის 10 მუხლს და ღებულობს რუსეთის საპ. კოდ. ამავე მუხლს. საფუძველი იმის, რომ რუსეთის პროექტმა უარყო შერიგება განაჩენის გამოტანის შემდეგ, მდგომარეობს იმაში, რომ არ მისცეს შესაძლებლობა კერძო პირს ივაჭროს სასამართლოს განაჩენით.

პირველ ყოვლისა ეს შეხედულება სრულიად არ გულისხმობს სასამართლოს განტვირთვას და მეორე, რაც უმთავრესია, კლასიური პრინციპის თვალსაზრისით მიუღებელია, რომ საქმის აღძვრისა და შერიგების ინიციატივა კერძო პირს ეკუთვნოდეს, რადგანაც ძლიერი ძალიან ხშირათ აიძულებს სუსტს წავიდეს დათმობაზე: ან არ აღძრას საქმე, ან შერიგებით ვაათავოს.

ამიტომ ჩვენის აზრით ეს შეხედულებაც შემცდარია. 4) დავგრჩა გასარჩევათ მეოთხე მიმართულება, რომელიც ამბობს: კერძო დანაშაული არ უნდა არსებობდეს; ყველა დანაშაული საჯარო ინტერესს ატარებს, ამიტომ მისი აღძვრის ინიციატივა არ უნდა გადაიდოდეს კერძო პირის ნებასურვილზე; თუ დანაშაული უმნიშვნელოა, ამისათვის ჩვენ გვაქვს სისხ. სამ. კოდექსში შესაფერი მუხლები (რუსეთის სისხ. სამ. კოდ. მე-6 მუხ. უენიშვნა და საქ. ასეთივე კოდექსის მე-14 მუხ.), რომლებითაც საქმეს მოვსპობთ. ყოველი დანაშაული სახიფათოა სახელმწიფოსათვის და ამიტომ უკანასკნელას სისხ. სამ. ერთიანი პოლიტიკა მოითხოვს ყველა დანაშაულის მიმართ სათანადო რეაქციას. ჩვენის აზრით ეს შეხედულება ყველაზე უფრო მისაღებია; და მართლაც მიუღებელია, რომ საქმის აღძვრა კერძო პირს ეკუთვნოდეს, რადგანაც: 1. მართლმსაჯულება კერძო პირის ნებაზე ხდება დამოკიდებული; 2. და-

ზარალბულის თაღლითობას ეხსნება გზა; 3. დანაშაულებს აქეზებს იმედი, რომ სათანადო რეაქციას ვაქცევთ; 4. დაზარალბულისათვის ხშირათ ზიანი მოაქვს: ა) თუ საჩივრის დრო ვააცდინა, საქმე ისპობა; ბ) ეშინია ძლიერი მოპირდაპირის და იძულებულია ზოგჯერ აღმაშფოთებელი შეურაცხყოფა აიტანოს. 5. ხელს უწყობს ხალხში იმ შეხედულების გავრცელებას, რომ სახელმწიფო უძღურია ყველა დანაშაულის დევნაში.

ყველა ამ მოსაზრებას იქით მივყევართ, რომ კერძო დანაშაული უნდა მოისპოს და ყველა დანაშაულს სათანადო რეაქციას უნდა აძლევდეს სახელმწიფოს ერთიანი სასამართლოს პოლიტიკა. რაც შეეხება სასამართლოს განტვირთვას, ეს არის უწყების საკითხი და ის სხვა გზით უნდა მოხერხდეს. სისხლის სამართლის ერთიანი პოლიტიკა უნდა იყოს გამოსავალი წერტილი ყველა საკითხის გადაჭრის დროს.

ივ. სურგულაძე.

საჩივროლოგიის მასალისათვის

- Наблюдать, наблюдение — თვალთვალება, თვალდევნება, თვალის დაჭერა, დაკვირვება, ზედამხედველობა
- Наблюдатель — მოთვალთვალე; თვალმდევნელი, დამკვირვებელი
- Наблюдательный — ზედამხედველი (მაგ. კომიტეტი), საზედამხედველო; დაკვირვებულ
- Наблюдательный пункт — სათვალთვალე, თვალსადევნელი პუნქტი

სადაც გამოტანილი ზომა ძალიან მცირეა, თუმცა საქმის მასალების მიხედვით საჭირო იყო მკაცრი ზომა.

მეტად სუსტია და თხოულობს საჩქარო და სათანადო მოვლას იურუდიულ ბიუროების მოწყობის საკითხი: წალკის რაიონში ასეთი ბიუროები დღემდე მოწყობილია მხოლოდ სამ თემში ქოხსამკითხველოსთან და ისიც მხოლოდ ფორმალურად, რადგან სინამდვილეში არავითარი მუშაობა არ სწარმოებს პირობები კი სავსებით ხელის შემწყობია, რადგან სოფლებში მრავალია უნარიანი და ცოდნით აღჭურვილი მუშაკი. იურბიუროების და კონსულტაციის სისუსტესთან ერთ დონეზე სდგას სასამართლოს მუშაობა მასებში საბჭოთა სამართლის პროპაგანდის მხრივ: საჩვენებელი პროცესები, მოხსენებანი და საუბარი სრულებით არ ეწყობა.

სასამართლოს დამოკიდებულება აღმასკომთან და მილიციასთან ისევე როგორც სხვა პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანოებთან ნორმალურია და ადვილი არა აქვს სასამართლოზე რაიმე გავლენის მოხდენას ან მის საქმეში ჩარევას.

- დასასრულ კომისია ხაზგასმით აღნიშნავს:
- 1. სესიები უნდა ეწყობოდეს გაცილებით უფრო ხშირად, რისთვისაც საჭიროა სათანადო თანხების გადიდება.
- 2. მსაჯულთა პასივობას (რომელიც აიხსნება მათ შორის საჭირო მუშაობის ჩატარებლობით) უნდა შეძლების და გვარად ბოლო მოეღოს, მსაჯულების წრეში

უნდა ეწყობოდეს მოხსენებები რეგოლიუციურ კანონმდებლობაზე;

3. ფართე მასებთან კავშირის გაბმის მიზნით აუცილებელია მოსამართლემ გაახშიროს სანგარიშო მოხსენებების გაკეთება, რომელზედაც გლახობამ უნდა მიიღოს მონაწილეობა სამართლის საკითხების განხილვაში.


4. იურბიულო ბიუროების დაარსება ყველა თემში, ცნობილ უნდა იქნას გადაუდებელ საკითხათ მით შემეტესად, რომ ადგილობრივ იმყოფებიან საჭირო მუშაკები და მოსამართლეს მხოლოდ მართებს მათი ხელმძღვანელობა.

5. აუცილებელია წალკის სახალხო სასამართლოსთან დაარსდეს სასამართლოს აღმასრულებლის თანამდებობა, რაც საგრძნობლად დააკმაყოფილებს გლახებს.

6. აღსანიშნავია მოსამართლეს სისუსტე იმ მოწმეების მიმართ, რომლებმაც მიიღეს უწყებები და არ გამოცხადენ ვადაზე, რითაც დაყოფებულია საქმის წარმოება; ამიტომაც მოსამართლეს მართებს ასეთ მოწმეების მიმართ სათანადო ზომების მიღება, როგორც არის დაჯარიმება და იძულებითი მოყვანა.

7. ზოგიერთ საქმეზე სოციალურ დაცვის ღონისძიებების შეფარდების დროს მცირე ზომის ხმარება, აქვეითებს საბჭოთა სამართლის პოლიტიკას, რასაც სასამართლომ უნდა მიაქციოს საჭირო ყურადღება.

კ. ზესელია.



„	поземельный	„	სადგილ მამუ-	Напряженный — დაძაბული
	ლო			Напряженность — დაძაბულობა
„	промысловый	„	სარეწაო	Наращенный (капитал, проценты) — ნამატეული, ნაზარდი
„	деловой	„	სანაწილადო	(თავნი, სარგებელი)
„	контингентированный	„	კონტინგენტი-	Наращивание, наращение, —მატება
	რებული			Нарицательный — დასახელებული, დარქმეული
„	косвенный	„	არაპირდაპირი	Нарицательная цена — დასახელებული, დარქმეული ფასი,
„	личный	„	პირადი	ფასდარქმეული
„	местный	„	ადგილობრივი	Наркотические средства — ნარკოტიკული საშუალებანი
„	на биржевые сделки	„	საბირჟო გარი-	Народ — ხალხი, ერი
	გებათა			Народный — ხალხური, სახალხო, ეროვნული, საერო
„	„ обращение	„	მიმოქცევის	Народные заседатели — სახალხო მსაჯულნი
„	„ прирост ценностей	„	ფასეულობათა	Нарочно — განგებ
	ნამატის			Нарочный, нарочитый — საგანგებო, შათირი
„	„ роскошь	„	ფუფუნების	Наружность — გარეგნობა
„	окладной.	„	შეწერილი, გა-	Наружный — გარეთი, გარეგანი
	დაკვეთილი			Наружу — გარეთ, გარეგანად
Налог прямой — პირდაპირი				Насилие — ძალყოფა, ძალდატანება, ძალმომრეობა, ძალა-
„	раскладочный — განწილადებელი			ლობა
„	распределительный — განწესრიგებელი			Насилывать — ძალყოფა, ძალდატანება, ძალმომრეობა, ძა-
„	реальный — რეალი			ლადობა
„	репартиционный — რეპარტიციული			Насильник — ძალმყოფელი, მოძალადე
„	целевой — მიზნობრივი			Насильственный — ძალადობითი, ნაძალადევი
Налоговой — საგადასახადო				Наследник — მემკვიდრე
Наложить, наложение — დადება, ზედდება, დაფენა, დაფარება				Наследник по закону — მემკვიდრე კანონიერი
Наложение запрещения — ყადაღის დადება, დაყადაღება, შეკვრა (ქონების)				„ „ завещанию — მემკვიდრე ანდერძით
Наложить клеймо — დადაღვა				Наследовать, наследование — მემკვიდრეობა
Наложный платеж — ფასდადებული, ფასდადება				Наследственный — სამემკვიდრო
Наложным платежом — ფასდადებით				Наследственный налог — სამემკვიდრო გადასახადი
Наложить взыскание — გარდასახდელის დადება				Нарушать, нарушение — დარღვევა, დაშლა; დარღვეულობა
Наложить наказание — სასჯელის დადება				დაშლილობა
Намереваться — განზრახვა, დაპირება				Нарушитель — მშლელი, დამშლელი, მომშლელი, დამრღვევი
Намерение — განზრახულება, დანაპირი				Наряд — განაწესი
Намеренно — განზრახ				Нарядчик — განმწესი
Намерение заранее обдуманное — წინასწარ მოფიქრებული განზრახულება				Население — მოსახლეობა
Нанести, наносить, нанесение — მიყენება				Населять, населить, население — დასახლება
Нанесенные раны — ჭრილობის მიყენება				Населенный — დასახლებული
„	оскорбления — შეურაცხოფის მიყენება			Наследство — სამკვიდრო
„	увечья — სახიზრობის მიყენება			Наставление, наставлять — დარიგება, მოძღვრება
„	повреждения — დაზარებულობის მიყენება			Наставник — დამრიგე, დამრიგებელი, მოძღვარი
Нанимать — ქირაობა				Наставивать — დაყენება, ნათქვამზედ დგომა
Наниматель — მოქირავნი				Настольный — სამაგიდო
Наоборот — წინაუკმო, პირუკუღმა				Настольный реестр — სამაგიდო რეესტრი, ნუსხა
Нападать — თავდაცემა, თავდასხმა, ჩახდომა, შესევა				Настойчивость — უჯიათობა, თვითრჯულობა
Наперед — უწინარეს, წინდაწინ, წინასწარ				Настойчивый — უჯიათო, თვითრჯული
Напитки — სასმელები				Наступать, наступление — შეტევა
Напиться — დათრობა				Научные произведения — მეცნიერული ნაწარმოებნი
Напившийся — დამთვრალი				Научные работники — მეცნიერი-მუშაკნი
Направлять — მიმართვა, წარმართვა				Наушать, наушение — ჩავონება, შეგონება, აგულიანება, შეგულიანება
Направление — მიმართულება, გეზი				Находить — პოვნა, შოვნა
Напротив — პირისპირ				Находиться, нахождение — პოვება, შოვება; ყოფობა; ხლება
Напряжение — ძაბვა				Находка — ნაპოვარი
Напрягать — ძაბვა				Находчивость — საზრიანობა, მოსაზრებულობა
				Национализация — ნაციონალიზაცია
				Национализировать — ნაციონალიზირება

Незасвидетельствованный — შეუმოწმებელი, დაუმოწმებელი
 Незаслуженный — დაუმსახურებელი
 Незаяаше — უცოდინარობა
 Незбежно — აუცილებლად
 Незбежность — აუცილებლობა
 Незбежный — აუცილებელი
 Незвестно — უცნობად, უცნობად, უცნაურად
 Незвестность — უცნობელობა, უცნობობა, უცნაურობა
 Незвестный — უცნობელი, უცნობი, უცნაური
 Незгладимость — წარუშლელი
 Незгладимый — წარუშლელი
 Неизменность — უცვლელი
 Неизменный — უცვლელი
 Неизменяемость — უცვლადობა
 Неизменяемый — უცვლადი
 Неизмеримость — უზომეადობა, არზომადობა, უზომარობა
 Неизмеримый — უზომეადი, არზომადი, უზომარი
 Неимение — უქონლობა, უყოლობა
 Неимущий — უქონლობა, უყოლობა
 Неисполнение — აუსრულებლობა, შეუსრულებლობა
 Неисполнительный — არაღმსრულებელი, არ შემსრულებელი
 Неисполнимый — აუსრულებელი, შეუსრულებელი
 Неисполнимость — აუსრულებადობა, შეუსრულებადობა
 Неисполненный — აუსრულებადი, შეუსრულებადი
 Неисправность — უპირობა
 Неисправный — უპირობა
 Неистощимость, неисчерпаемость — უღველობა, უღვეობა
 Неистощимый, неисчерпаемый, უღვევლი, უღვევი
 Неисследованный — გამოუკვლეველი
 Нейтрализация, нейтрализовать, нейтрализовать — ნეიტრალიზაცია, ნეიტრალიზობა, ნეიტრალიზება, ნეიტრალიზირება
 Нейтрально — ნეიტრალა
 Нейтральность — ნეიტრალობა
 Нейтральный — ნეიტრალი
 Нейтралитет — ნეიტრალიტეტი
 Нелицемерность — მიუფერებლობა
 Нелицемерный — მიუფერებელი
 Немедленно — დაუყოვნებლივ
 Немедленность — დაუყოვნებლივობა
 Немедленный — დაუყოვნებლივი
 Неминуемость — აუცილებლობა, თანაწარუხდომელობა
 Неминуемый — აუცილებელი, თანაწარუხდომელი
 Ненависть — სიძულვილი
 Ненавистничество — ძულვიანობა, მოძულეობა
 Ненавистный — სიძულველი, სიძული
 Ненавидеть — ძულება
 Неадекватный — უთანადო, უჯერო, უჯეროვნო
 Непарушимость, нерушимость — დაურღვეველობა, მოუშლელი
 лობა, ურღვევადობა, უშლადობა
 Непарушимый, нерушимый — დაურღვევადი, უშლადი
 Ненормальный — არანორმალური
 Необходимость — მოუფიქრებლობა
 Необходимый — მოუფიქრებელი
 Необитаемость — უმკვიდრობა, უშენობა, უდაბურობა

Необитаемый — უმკვიდრო, უშენი, უდაბური
 Необнаружение — აღმოუჩენლობა
 Небозримый — თვალუწვდენელი
 Необходимая оборона — გარდუვალი მოგერება
 Необходимость — გარდუვალობა
 Необходимость крайняя — უკიდურესი გარდუვალობა
 Необходимый — გარდუვალი
 Необязательность — უვალდებულობა, უთანდებულობა
 Необязательный — უვალდებულო, უთანდებლო
 Неоднократно — არაერთგზის
 Неоднократность — მოულოდნელობა
 Неожиданно — მოულოდნელად
 Неожиданность — მოულოდნელობა
 Неожиданный — მოულოდნელი
 Неоказание помощи — დაუხმარებლობა
 Неоконченность — დაუსრულებლობა, დაუმთავრებლობა, გა-
 უთავებლობა
 Неоконченный — დაუსრულებელი, დაუმთავრებელი, გაუთა-
 ვებელი
 Неоплатность — გარდუხდლობა, უკუუზღვეველობა
 Неоплатный — გარდუხდელი, უკუუზღვეველი
 Неопороченность — გაუწილებლობა
 Неопороченный — გაუწილებელი
 Неопределенно — განუსაზღვრელად
 Неопределенность — განუსაზღვრელობა
 Неопределенный — განუსაზღვრელი
 Неосмотрительность — წინდაუხედველობა, წინდაუხედავობა
 Неосмотрительный — წინდაუხედველი, წინდაუხედავი
 Неосновательно — უსაფუძვლოდ
 Неосновательность — უსაფუძვლობა
 Неосновательный — უსაფუძვლო
 Неосновательное обогащение — უსაფუძვლო გამდიდრება
 Неоспоримо — უცილობლად, მოუდევრად
 Неоспоримость — უცილობლობა, მოუდევრობა
 Неоспоримый — უცილობელი, მოუდევარი
 Неосторожность — გაუფრთხილებლობა
 Неосторожное убиство — გაუფრთხილებელი მკვლელობა
 Неосторожный — გაუფრთხილებელი
 Неоткрытие — გაუხსნელობა
 Неотчуждаемость — განუსხვისებლობა, განუსხვისადობა
 Неотчуждаемый — განუსხვისადი
 Неоценимый — ფასდაუდებელი
 Необедимый — უძლევი, უძლეველი
 Неповиновение — ურჩობა, უმორჩილობა
 Неповинующийся — ურჩი, უმორჩილო
 Неповрежденный — უზიანო, დაუზიანებელი, უცნებელი
 Неподвижный — უძრავი
 Неподвижность — უძრავობა
 Неподготовленность — მოუმზადებლობა
 Неподготовленный — მოუმზადებელი
 Неподражаемый — უბაძავი
 Неподсудность — განუსჯადობა
 Неподсудный — განუსჯადი
 Непоколебимый — მოუღრეკელი, ურყევი
 Неполнота — უსრულობა, არასრულობა; ნაკლებულობა;
 თავშეუდგმელობა, თავშეუყრელობა

Неполный—უსრული, არასრული; ნაკლებული; თავშეუდგ-
მელი, თავშეუყრელი
Непомерный—უზომო
Непонимание—გაუგებრობა, შეუსმენლობა, გაუსაგისობა
Неопытливый—შეუსმინარი
Неопытный—გაუგებარი, გაუსაგისი
Непорочный—უბიწო
Непослушание—გაუგონარობა
Непослушный—გაუგონარი
Непосредственность—უმეშვეობა
Непосредственный—უმეშვეო
Непосредственно—უმეშვეოდ
Непостижимо—მიუწვდომლად
Непостижимость; непостижимый—მიუწვდომელობა; მიუწვე-
მელი
Непостоянство—დაუდგრობა, დუდგრომლობა
Непостоянный—არამუდმივი; დაუდგარი, დაუდგრომელი
Непотребство—გარყენილება
Непечатый—უკლები, უნაკლული
Неправда—ტყუილი
Неправильно—უსწოროდ, არაწესიერად, ურიგოდ, უწე-
სურად
Неправильности—უსწორობა, არაწესიერება, ურიგობა,
უწესურობა
Неправильный—უსწორო, არაწესიერი, ურიგო, უწესური
Неправый—მტყუანი, უმართლო
Неправоспособность—არაუფლებოსნობა, არაუფლებაუნა-
რიანობა
Неправоспособный—არაუფლებოსანი, არაუფლებაუნარიანი
Неправосудие—უსამართლობა
Неправосудный—უსამართლო
Непредставление—წარუდგენლობა
Непременно—უცვალეზად
Непременный—უცვალეზელი
Непреодолимый—დაუძლევი, დაუძლეველი, დაუძლი-
სობა
Непреодолимость—დაუძლევაობა, დაუძლეველობა, დაუძ-
ლისობა
Непрерывно—უწყვეტლივ
Непрерывность—უწყვეტლობა, განუწყვეტობა
Непрерывный—უწყვეტელი, განუწყვეტი
Непробывшие—მოუსვლელობა
Непригодность—უვარგისობა, უხმარისობა, უმაქნისობა
Непригодный—უვარგისი, უხმარისი, უმაქნისი
Непризнание—გაუტყდომლობა, აულიარებლობა
„ деяния преступным—ქმედობის დანაშაულად
აულიარებლობა
Неприкосновенность—შეუხებლობა
Неприкосновенный—შეუხებელი
Неприличие—უმართებულობა, უკადრისობა, შეუფერობა
Неприличный—უმართებულო, უკადრისი, უკადრი, შეუ-
ფერი
Неприватия векселя—თამასუქის მიუღებლობა
Непримиримость—შეურიგებადობა
Непримиримый—შეურიგებადი
Неприступный—მიუვალი, მიუდგომი

Неприсутственный день—უქმე დღე
Непроницаемость—განუმტეობა, უყვენადობა
Непроницаемый—განუმტევი, უყვენი
Неприятный—მტრული
Неприятственность—მტრულობა
Неравный—უტოლო
Неравномерно—უთანაბროდ
Неравномерность—უთანაბრობა
Неравномерный—უთანაბრო
Нерадение—გარეწრობა
Нерадивый—გარეწარი
Нераздельность—განუყოფელობა
Нераздельный—განუყოფელი
Неразрешимый—ამოხსნადი

3. ჯავთარაძე.

ბ. ფურცხვანიძის საკასუსოდ.

ბ. ფურცხვანიძემ „საბჭოთა სამართალში“ (№ 14) მიათავსა „ზოგადი მოსაზრებანი“ იმ ტერმინოლოგიის მასალის შესახებ, რომელსაც ჩვენ ვსტამბავთ ამავე ჟურნალში.

ამ „ზოგად მოსაზრებათა“ საპასუხოდ, ვიდრე მუხლობრივ განვიხილავდეთ ბ. ფურცხვანიძის წერილს, ჩვენც ერთი წინასწარი ზოგადი მოსაზრება უნდა გამოვსთქვათ. საქმე ის არის, რომ ბ. ფურცხვანიძეს ავიწყდება, რომ მის მიერ განქიქებული საგანი ტერმინოლოგიის მასალაა მარტოდენ და არა ტერმინოლოგიური ლექსიკონი, და ის პასუხისმგებლობა, რომელიც ჩვეულებრივ ეკისრება ლექსიკონის ავტორს—შემდგენელს, არ შეიძლება დაეკისროს ლექსიკონისათვის მხოლოდ მასალის შემგროვებელს. ჩვენი ჟურნალის 4 ნომერში ტერმინოლოგიის მასალას ჩვენ წავეუძღვარეთ „ზოგადი მოსაზრებანი“; სადაც სხვათა შორის ვამბობთ: „ამიტომ „საბჭოთა სამართლის“ რედაქციამ განიზრახა იურიდიული ტერმინოლოგიის მასალების მოგროვება და გამოქვეყნება, რათა შემდგომ მთელი შეგროვილი მასალა მცოდნე პირთა კომისიამ გადასინჯოს, გაცხრილოს და ტერმინოლოგიის ლექსიკონი შექმნას“, და ამისათვის ჩვენ მოუწოდეთ ყველას, ვისაც ამ საქმისათვის გული შესტკივა, ტერმინოლოგიური მასალის მოგროვებით და მოწოდებით, თავისი ცოდნითა და გამოცდილებით მხმარებოდა რედაქციას. მაშასადამე ის, რასაც ჩვენ ვაქვეყნებთ, მხოლოდ ნედლი მასალაა, რომელსაც მომავალში გადასინჯება და გაიცხრილება, და თუ ბ. ფურცხვანიძეს ამ მასალაში რამე არ მოსწონს, კეთილინებოს და მოგვაწოდოს დაწუნებულის ნაცვლად უკეთესი ტერმინები: ჩვენ სრულიად არ ვაგვიძნელებდა ჩვენი შეცდომის აღიარება—უვარგისს ჩვენც დაგვმობთ და განვდევნით და ბ. ფურცხვანიძის და სხვების მიერ მოწოდებულ მასალას კი უღრმესი მადლობით მივიღებთ და ავდგის დავუთმობთ.

ესლა მივმართოთ ბ. ფურცხვანიძის „ზოგად მოსაზრებათა“ განხილვას არსებითად.

1) „მონსენებულ ნაშრომში, ამბობს ბ. ფურცხვანიძე, იმდენია უცხო სიტყვა შეუცვლელად (კურსივი ყველგან ჩვენია —ბ. ქ.) თავისი ძირითად ფესვის (?) გამოუცვლელად დატოვებული ქართულ ენაზე (თუ ენაში?), რომ შეუძლებელი ხდება ყველა მათგანზე (?) შეჩერებაო“. ამ საყვედურის, მართალი მოგახსენოთ, ვერაფერი გავვიგია. ბ. ფურცხვანიძეს შეეძლო, რასაკვირველია, ვსაყვედურებინა ჩვენთვის (შემდგომ აკი გვისაყვედურებს!) საერთოდ უცხოური სიტყვების შემოღება, მაგრამ უცხოური სიტყვა რად შემოვაქვს უცვლელად, „ძირითადი ფესვის“ გამოუცვლელად რად სტოვებ ქართულ ენაშიო—ნურას უკაცრავად, თუ ჩვენ ეს რალაც მიუწვდომელ შეუსაბამობად მივიჩნიოთ. მაშ, როგორ ნებაგს ბ. ფურცხვანიძეს—უცხოური სიტყვა რომ შემოვაქვს ქართულში, მას ძირი და ფესვიც უნდა გამოუცვალოთ. მაშინ ზომ იგი „უცხოური“ აღარ იქნება, ეს სულ სხვა, ახალი სიტყვა იქნება, ვინაიდგან რალა სიტყვაა ის სიტყვა, რომელსაც ძირისა და ფესვისაგან გაცლის ბ. ფურცხვანიძე, მაგრამ ეს მარც-

ბი „ლაფსუსად“ ჩავუთვალეთ ჩვენს პატივცემულ მოკამათეს და კვალ-დაკვალ მივჰყევით მის „ზოგად მოსაზრებათა“ განხილვას. 2) „მაგალითისათვის, განაგრძობს ბ. ფურცხვანიძე, აღენიშნავ „საბჭოთა სამართლის“ № 6 და 7-ში „-ნზე მოთავსებულ მასალას, სადაც მოყვანილია სულ 178 სიტყვა და მათგან (თუ მათში?) ერთი-ორი სიტყვა თუა გადმოქართულებული, თორემ დანარჩენი დატოვებულია უცხოთვით“. ამ 178 სიტყვაში „გადმოქართულებული“ ტერმინი ჩვენ დაეთვალეთ 43 და არა „ერთი-ორი“ როგორც ბ. ფურცხვანიძეს მოსჩვენებია, და რაკი უცხოურ და ქართულ ტერმინების რაოდენობათა შედარებაზედ მიდგა საქმე, ბარემ მთელს უკვე გამოქვეყნებულ მასალაში დაეთვალა ბ. ფურცხვანიძეს (რასაკვირველია უფრო ზუსტად), „უცხოთა“ დატოვებული და „გადმოქართულებული“ სიტყვები და მაშინ აეწონა-დაეწონა თავის საყვედურის საფუძვლიანობა.

3) ჩვენ ვამბობდით (და ვხლავ ვებდავთ ამის განმეორებას), რომ საერთაშორისო ტერმინების თარგმნას, ზოგიერთ უკიდურეს შემთხვევის გარდა, ვერადებით და ვამჯობინებთ ლათინური ან ფრანგული ტრანსკრიპცია ამა თუ იმ ტერმინისა (ტრანსკრიპცია, დაწერილობა და არა თვით ტერმინი!) გადმოვაქართულოთ იმნაირივე უფლებით და საფუძვლით, როგორც, ვსთქვათ, ასეთი ტერმინი რუსებსა და სხვებს თავის ენის ყაიდაზედ გადაუღიათ.

ეს დებულება, აცხადებს ბ. ფურცხვანიძე, ყოველივე კრიტიკის გარეშეა, რადგან ჩვენ უნდა ვეცადოთ ყოველი უცხო სიტყვა თავისი ნამდვილი შინაარსის დაუმახინჯებლად გადმოვიღოთ ქართული ენის თანაბარ ტერმინზე და უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელი გახდება ერთი სიტყვის ბადალი სიტყვით გადმოქართულება და ამასთანავე ტერმინი ცოტათ თუ ბევრად საერთაშორისოთა პოპულარულია, მხოლოდ მაშინ უნდა დაიტოვოს ის უცვლელად ქართულ ენაზე. ბ. ქავთარაძე ამ ქვეშარტების საგნებით საწინააღმდეგო(?) მოსაზრებისა და ფიქრობს, რომ უცხო ტერმინის გადმოქართულება უკიდურეს შემთხვევაში უნდა მოხდეს და საერთოდ (?) კი საჭიროა ის უცვლელად დაიტოვოს ქართულზე (ქართულში).

რას გვედავება აქ ბ. ფურცხვანიძე, როდესაც სადავო არაფერია?

ჩვენ ვამბობთ (იხ. „ს. ს.“ № 4; რომ ა) იმ შემთხვევაში, როცა შესაფერს ქართულ ტერმინს „ე. ი. თანაბარ ტერმინს“ ან ბადალ სიტყვას“ ვერ ვიპოვით, „თხზვას, გამოგონებას და თარგმნას“ როდი უნდა მივჰყუთ ხელი, არამედ შემოვიღოთ და ვიხმაროთ საერთაშორისო ტერმინი—და სწორედ ასეთი შემთხვევა მიუკარნია ჩვენ უკიდურეს შემთხვევად“ და ბ) ტერმინის შეთხზვა ან თარგმნა მარტოოდენ იმ შემთხვევაში იქნება გამართლებული, თუ არც ქართული ტერმინი მოგვეპოება და არც საერთაშორისო ტერმინი არის გამოსადეგი, მაგრამ „შეთხზული და თარგმნილი“ ტერმინი ერთის მხრით ქართულ გრამატიკასთან უნდა იქნეს შეხამებული და მეორეს მხრით ნათლად უნდა გამოხატავდეს იმ ცნებას, რის გამოსახატავად ის შეთხზულია ან თარგმნილი.

აი, რას ვამბობდით და ვამბობთ ჩვენ.

რას გვეუბნება ამის საპასუხოდ ბ. ფურცხვანიძე? იმასვე არსებითად, რასაც ჩვენ ვამბობთ, ხოლო სხვა ქართულით, და რასაც ის რატომღაც „ებრძვის“. ე. ი. ბ. ფურცხვანიძე გვირჩევს, რომ ყოველი უცხოური სიტყვა ქართული ენის თანაბარ ტერმინზე გადმოვიღოთ და როდესაც შეუძლებელი გახდება უცხოური სიტყვის ბადალი სიტყვით გადმოქართულება (რომელ შეუძლებლობასაც ჩვენ უკიდურესი შემთხვევა ვუწოდებთ), მაშინ ის უცვლელად უნდა დარჩეს ქართულში. და ჩვენც ხომ ამასვე ვამბობთ მხოლოდ: როდესაც (უკიდურეს შემთხვევაში) უცხოური სიტყვისათვის „თანაბარ ტერმინს“ და „ბადალ სიტყვას“ ვერ ვიპოვებთ, საერთაშორისო ტერმინს ვტოვებთ. და აბა გვიჩვენოს პატივცემულმა ოპონენტმა, სად ვიწინააღმდეგებით ჩვენ „მის“ ქვეშარტებას ან სად და როდის ვსთქვით, რომ უცხოური ტერმინი საერთოდ უცვლელად უნდა დაეტოვოთ ქართულში?

4) ცნობისათვის მოვახსენებთ ბ. ფურცხვანიძეს, რომ ამნაირად ვე მწინააღმდეგება „ქვეშარტებას“ მთავარ სატერმინოლოგიო კომიტეტის და სამეცნიერო-სატერმინოლოგიო კომისიის შეხედულება. ამ დაწესებულებათა დასტურით გამოცემულ „ფიზიკისა და ელექტ-

ტრო-ტექნიკის ტერმინოლოგიის“ წინასიტყვაში ნათქვამია: „ტერმინოლოგიის ლექსიკონი (ტერმინოლოგიის საზოგადოებისა—ბ. ქ.)... ზოგან დეფექტიანი აღმოჩნდა: ამგვარი იყო მისი არაჩვეულებრივი მიდრეკილება ყველაფრის გაქართულებასაკენ... სამეცნიერო-სატერმინოლოგიო კომისია, ცხადია, ამგვარ უკიდურესობას ვერ გაიზიარებდა: იგი საერთაშორისო ტერმინს ყველგან უცვლელად სიტოვებდა და ქართულ შესატყვისს მხოლოდ მაშინ იწონებდა, როდესაც იგი ან ცოცხალ ენიდან იყო ამოღებული, ან და მწერლობაში დადასტურებული და, ამასთანავე, ქართული ენის ბუნებისა და თვისების მიხედვით შედგენილი“.

5) მაგრამ მოდიოთ აბა, ამ დავას თავი დაეანებოთ და ასე მოვიგედოთ: ბ. ფურცხვანიძემ ხომ ის გვიკვირია, რომ 178 სიტყვაში (ასო „ა“) მხოლოდ ერთი თუ ორი გადმოვაქართულეთ (ნამდვილად კი 43), დანარჩენი კი უცვლელად დაეტოვეთ... მაშ, კეთილინების თვით ბ. ფურცხვანიძემ და უცვლელად დატოვებულ უცხოურ სიტყვებს მოუძებნოს „თანაბარი ტერმინი“ და „ბადალი სიტყვა“ და გადმოვაქართულოს თუნდა ათიოდე ტერმინი, მაგალითად: აბონემენტი, აგიტაცია, აქცია, ამნისტია, აპარატი, ანალიზი, აბსოლუტი, ანარჩიზმი, და სხ., ან რომელიც ენებება. თუ მოახერხა და გადმოაქართულა, ხომ კარგი, თუ არა და ჩვენ ნუ დაგვემდურება.

6) საყვედურებს ბოლო არ უნანს! „ხშირია შემთხვევა, ამბობს პატივცემული მოკამათე, როდესაც ქართულ ენაზე მთლიანად მისაღები და ყველასათვის გასაგები პოპულარული უცხო სიტყვა მას (ე. ი. მე), შეცვლილი აქვს სრულიად მიუღებელ და დამახინჯებულ „ქართულით“.

მაგალითები?

ამრავს ჩვენ თითქო ვთარგმნით „ამბარი“, ნამდვილად კი ამრავს-ის შესატყვისად ჩვენ „მასალაში“ შეტანილი გვაქვს ამბარი და ბელელი თანახმად „ზოგად მოსაზრებათა“ „დ“ პუნქტისა, ე. ი. პარალელურად ორი ტერმინი. ამავე შეხედულებას იზიარებს სამეცნიერო-სატერმინოლოგიო კომისიაც: შემოსხენებულ „ტერმინოლოგიაში“ პარალელურად მოთავსებულია სიტყვები—მღებავი და მღლარი, მარლა და შოლაია, მატერია და ნივთიერება, ციკლი და წრედი კიბე და სკალა, სარკი და შიორი, შტეპსელი და თეგი და სხვა მრავლის უმრავლესი—რომელი ერთი ვთქვა—მაგრამ სად არის ამ მაგალითში ერთის მხრით „მთლიანად მისაღები და ყველასათვის გასაგები პოპულარული უცხო „სიტყვა“ და მეორეს მხრით „სრულიად მიუღებელი და დამახინჯებული „ქართული“.

მეორე მაგალითი: банды—ბანდი, რა არ მოსწონს ამ სიტყვისა ბ. ფურცხვანიძეს? იქნება დაბოლოება? შეიძლება ის ამჯობინებს იტალიურს დაწერილობას banda? ჩვენ კი ვერმანუღ-ფრანგული ვამჯობინებთ, მოვაკვეცეთ დაბოლოება „ე“ და მივფურთხეთ ქართული დაბოლოება „ი“ მაგრამ ეს ხომ დიდი მნიშვნელობის საკითხი არ არის, ან იქნება ბ. ფურცხვანიძე წინააღმდეგია თვით ამ სიტყვის შემოღებისა? თუ ასეა, მაშინ გვასწავლოს, როგორ ვთარგმნოთ სიტყვა банды.

მესამე მაგალითი: ассигновка—ბარათული, აღბად ეს მიაჩნია ჩვენს ოპონენტს „დამახინჯებულ ქართულად“, მაგრამ განათვითონ არ ამბობს, რომ ყოველი უცხოური სიტყვა თავისი ნამდვილი შინაარსის დაუმახინჯებლად უნდა გადმოვიღოთ ქართული ენის თანაბარ ტერმინზე და ბადალი სიტყვით გადმოვაქართულოთო, ჩვენც სწორედ ეს ვიხელმძღვანელებთ, სახელდობრ—ავიღეთ სიტყვა ассигновать (ფრ. assigner, ლათ. assignare), რაც ნიშნავს კერძოდ ფულის დანიშნვას, გადადებას, ვიპოვეთ ქართულში იმავე შინაარსის და მნიშვნელობის „თანაბარი“ და „ბადალი“ სიტყვა გაბარათება და ბარათული და შევიტანეთ „მასალაში“ ნაცვლად „ასიგნობისა“, იქნება ბ. ფურცხვანიძეს ჭგონია, რომ „ბარათული“ და-დამახინჯებული ქართულია და „ასიგნობა“ კი წმინდა წყლის ქართული სიტყვაა... კაცია და გუნება, მაგრამ ერთი რამ ვერ გაგვიგია: როდის რას იწუნებს ჩვენი მოკამათე და როდის რას იწონებს თუ უცხოურ სიტყვას უცხოურ სიტყვადვე ვტოვებთ, ვინაიდან მისთვის „თანაბარი ტერმინი“ და „ბადალი სიტყვა“ ვერ გვებოვნა, ბ. ფურცხვანიძე ამას გვიკვირებს და „ექსპერანტისტად“ გვნათლავს, ხოლო როდესაც უცხოურ ტერმინს ნამდვილი ქართული სიტყვით ვაქართულებთ, იმავე შინაარსის და მნიშვნელობის შესატყვისი შეგვაქვს ჩვენს „მასალაში“, ის ამას ქართულის დამახინჯებას უწოდებს.

მეოთხე, მეხუთე და მეექვსე მაგალითი: კასირება, კომანდირე-
ბა, ინკრინირება. ამ სიტყვებში ქართულის დამახინჯებად ჩვენ-
ოპონენტს ალბად დაბოლოება მიანიჩა. სიტყვა რომ არ გაგვიგრ-
ძელდეს, მოვახსენებთ ბ. ფურცხვანიძეს, რომ უცხოურ სიტყვათაგან
ზნის ასეთი წარმოება მიღებულია მთავარ სატერმინოლოგია კო-
მიტეტის მიერ არნ. ჩიქობავას მოხსენების თანახმად და ეს ქართუ-
ლი მეტყველების მიღწეულობად უნდა ჩაითვალოს და არა დამახინ-
ჯებად.

7) ვისაც ჩვენი „შენიშვნები“ ყურადღებით წაუკითხავს, ის
ვერ დაგვაბრალებს რუსული ენის მიბაძულობით ქართულ ენაში
უცხოურ სიტყვების შემოღებას, როდესაც ჩვენს დედაენაში მოიპო-
ვება „სათანადო მოხდენილი შესატყვისი“; მაგრამ ჩვენი მოკამათე
ამასაც ბრაულად გვდებს იმის ნაცვლად, რომ მოგაწოდოს ეს „მოხ-
დენილი შესატყვისები“.

8) მართალია ბ. ფურცხვანიძე იმ მხრივ, რომ უსიცოცხლო
ითომ ქართული სიტყვების გამოგონება დიდაც დასაგმობი საქ-
ციელია, მაგრამ ძველ სიგელ-გუჯრებში „ჩიჩქა“ არც ასეთი ჩვარ-
ში გასასხვევი საქმეა, როგორც მას ჰგონია, ვინაიდან სამართლის ტერ-
მინოლოგიის შედგენისას ჩვენ გვერდს ვერ ავუქცევთ ქართული სა-
მართლის ტერმინოლოგიის შედგენისას ჩვენ გვერდს ვერ ავუქცევთ
ქართული სამართლის ძეგლებს. ე. ი. სიგელ-გუჯრებს, და ყველა ის
ტერმინი, რომელიც ამ ძეგლებში იხმარება ჩვენც სახმარებლად უნ-
და შემოვიღოთ, თუ იგი თანამედროვე სამართლის ინსტიტუტს ან
ცნებას გამოხატავს (იხ. „ს. ს.“ № 4, „ზოგადი მოსაზრებანი“ პ. „ბ“).

9) რა დააკლდება ქართულ ენას, გვეკითხება ბ. ფურცხვანიძე
თუ „კომანდირეულის“ ნაცვლად „მივლინებულს“ ვიხმართო“ არა-
ფერი არ დააკლდება, პირუტყვს ვნ ამგვარი პარალელიზმებით გამ-
დიდრდება და თუ ჩვენს მოკამათეს ჰგონია, რომ ჩვენი მასალა ეს-
პერანტოს ლექსიკონს წააგავს, მაშინ ყველა არსებული ლექსიკო-
ნი ექსპერანტოს ცალკადაა უფრო შედგენილი და ჩვენც უნდა გაა-
ვიზიაროთ ეს ცალკა.

10) რა საერთაშორისო ტერმინის მნიშვნელობა აქვს, გვეკით-
ხება კიდევ ბ. ფურცხვანიძე, სიტყვას „გიმნასტიკა“, რომ მისი გად-
მოქართულება არ შეიძლებოდა სიტყვით „ტანვარჯიშობაო“?

„გიმნასტიკა“ რომ საერთაშორისო ტერმინია, ამის მტკიცება
როგორღაც უხერხულად მიგვაჩნია, — ჩვენი ოპონენტი მაინც არ და-
გვიჯერებს და თუ არ დაუშლია, სხვა უფრო „სანდო“ პირს მიმარ-
თოს. „გიმნასტიკა“ რასაკვირველია, ტანვარჯიშობაც არის, მაგრამ
ჩვენის აზრით ის უფრო მდიდარია შინაარსით, ვიდრე „ტანვარჯი-
შობა“. ბერძნული სიტყვა „გიმნაძო“, საიდანაც წარსდგება „გიმ-
ნასტიკა“, საერთოდ ნიშნავს ვარჯიშობას, სწავლებას, შეგვეს
და საკუთრად კი — ტანვარჯიშობას და საბერძნეთში გიმნასტიკა
შეიცავდა პალესტრიკას (ჭიდაობა, სირბილი, ცურვა, ცხენოსნობა და
სხ.) ორხესტრიკას (ცეკვა-შუშპრობა) და თამაშობა გართობას. ამი-
ტომ ვფიქრობთ, რომ ქართულში პარალელურად „გიმნასტიკაც“
უნდა იყოს და „ტანვარჯიშობაც“. სხვათა შორის, ვარჯიში ხომ
„თურქთა ენაა“ (საბა) და თურქნი რით სჯობიან ბერძნებს!

11) „პ. ქავთარაძე ალბათ ფიქრობს, ამბობს ბ. ფურცხვანიძე
რომ არსებობს „საერთაშორისო“ ტერმინოლოგია... მაგრამ ის შემც-
დარია, რადგან ასეთი ტერმინოლოგია არ არსებობს“
უნდა გამოვტყვედ და საქვეყნოდ აღვიარო ჩემი შეცოდება — მართლა
ფიქრობ, ვიცი და დარწმუნებულიცა ვარ, რომ საერთაშორისო ტერ-
მინოლოგია არსებობს ისე, როგორც არსებობს მზე და მთვარე, ცე-
ცხლი და წყალი, მაგრამ ამის მტკიცება უადგილოდ მიმაჩნია სრუ-
ლიად გასაგები მიზეზით. მოვავლებთ მხოლოდ ჩვენს ოპონენტს,
რომ თვით მას ვეუთვნის სიტყვები: „ტერმინი ცოტათ თუ ბევრად
საერთაშორისოდ პოპულარული“. და ჩვენის აზრით საერთაშორისოდ
პოპულარო (ე. ი. ყრვები საყოველთაოდ ცნობილი) ტერმინების
ერთობლივობა არის სწორედ საერთაშორისო ტერმინოლოგია. ერთი
არ ვიცი, რომელია ის ვრი, რომელიც „ცდილობს გაამდიდროს ფ-
წ. „საერთაშორისო“ ტერმინების შემცირებით თავისი ეროვნული
ენა!“

ისიც უნდა მოვახსენო პატივცემულ ოპონენტს, რომ, როგორც
ეს თქვით, ჩვენი „მასალა“ მართოდვე მასალაა, შავი ნაშუშვევარია,
და ამით აიხსნება ის, რომ ხშირად ისეთი სიტყვა შეგვაქვს „მასალა-
ში“; რომელიც თვით ჩვენ არ მოგვწონს, არ გვაქვამყოფილებს და

შემდგომ კი, როდესაც ვპოულობთ უკეთეს ტერმინს, უფრო მოხდენ-
ილ სიტყვას, უკვე მიღებულს უკუგაგდებთ და ამ ახალს ვღებულობთ
(იხ. „ს. ს.“ № 16, უმნ. 2).

დასასრულ აღსანიშნავია ერთი გარემოება: წერილის დასაწ-
ყისში ბ. ფურცხვანიძე ამბობს, რომ ჩემი „ნაშრომი... დიდათ საგუ-
ლისმნა, მნიშვნელოვანი და იუსტიციის მუშაკათათვის უაღრესად
საჭირო... აღნიშნულ ნაშრომს კიდევ მეტი მნიშვნელობა ეძლევა და
ეს უფრო თვალსაჩინო გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ნაშ-
რომი წარმოადგენს ქართულ ენაში ბევრ უცხო სიტყვათა შემოღების
სრულიად ახალ, ორგან. ცდასო“, მაგრამ შემდეგ ამისა იმავე ბ. ფურ-
ცხვანიძე კომპარატივის დათრგუნვაც დამწამა, უსაზღვროდ და გა-
ნურჩეულად უცხოური სიტყვებით ენის ავსებაც დაგვაბრალა, რუსუ-
ლი ენის მიბაძულობაც, ქართულის დამახინჯებაც, ესპერანტისტობაც
და ლოგიკურად ასე დაასრულა თავისი წერილი: „ნაკლის გარდა
მოხსენებულ ნაშრომს დადებითი მხარეც აქვს. არის აქა-იქ სიტყ-
ვები, რომლებიც მართლა ლამაზად და მოხდენილად არის გადმოქარ-
თულებული, მაგრამ სამწუხაროთ ასეთი ძალზე მცირეა და
მათზე შეჩერებაც კი არ ღირს“.

აი, ამასა /ქვიან „მრავალქამიერით დაწყება და სულთანათი
გათავება“...

პ. ქავთარაძე.

ქ რ მ ნ ი კ ა

სანოტარო კანტორების რეორგანიზაცია.

ტფილისის სანოტარო დაწესებულებების რაციონა-
ლიზაციის მიზნით ა. წ. 1-ლი აგვისტოდან გაუქმებულ
იქნა ქ. ტფილისის ხუთივე სანოტარო კანტორები და
დაარსდა ამავე რიცხვიდან გაერთიანებული კანტორა
ტფილისის სახელმწიფო სანოტარო კანტორის სახელწო-
ლებით.

ა. წ. 1-ლი აგვისტოდან გაუქმებული იქნა ი. ს. კ.
1-ლი განყოფილების სანოტარო ქვეგანყოფილება და უკა-
ნასკენლის ზედამხედველობის და სახელმძღვანელო ფუნქ-
ციები დაევალა თვით სასამართლო მართველობის განყო-
ფილებას. სანოტარო კანტორების ზედამხედველობისათ-
ვის 1-ლ განყოფილებაში დაარსდა ერთი ინსტრუქტორის
თანამდებობა. სანოტარო ქვეგანყოფილების საფინანსო
ფუნქციები დაექვემდებარა იუსტსახკომატის საფინანსო
ნაწილს.

გაერთიანებულ ტფილისის სახელმწიფო სანო-
ტარო კანტორის გამგედ დაინიშნა ამა წლის 1-ლ აგვის-
ტოდან ამხ. აკაკი ლეკვეიშვილი. ნოტარიუსებად: დავით
გაგუა, მარიამ ჩხეიძე, გრიგოლ ორჯონიკიძე, ივანე ხა-
ტისოვი, ვახტანგ ერისთავი და თადეოზ ვაჩნაძე.

საბინაო სასამართლოს გაუქმება.

ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების
თანახმად გაუქმებულ იქნა ა. წ. 6-ს აგვისტოდან ქალაქ
ტფილისის დამატებითი საბინაო სახალხო სასამარ-
თლო. შემოხსენებულ სასამართლოს გაუქმების გამო-
ვანთავისუფლებულ იქნენ თანამდებობიდან სახალხო მო-
სამართლენი: ხარებავა, ავეტიკიანი, ანდრიძე, ხუჭუა,
კაციტაძე და კალანდაძე.

სასამართლოს აღმასრულებელთა თანამდებობანი ახალ რაიონებში.

დაწესდა სასამართლოს აღმასრულებელთა თა-
ნამდებობანი ზუგდიდის, ოზურგეთის, ხობის, წალენჯიხის
და მეჯვრისხევის უბნის სახალხო სასამართლოებთან.

ახალი დანიშვნები და სამსახურიდან განთავისუფლება.

◆ ა. წ. 8 აგვისტოდან უზენაეს სასამართლოს წევრად დამტკიცებულ იქნა ამხ. ალექსანდრე ყამარაული.

◆ იუსტისსახკომის მმართველობის განყოფილების სააღრიცხო ნაწილის გამგის ალ. ჯვარშიევილის ჯგუფკომის თავმჯდომარედ არჩევის გამო მის ადგილზე ა. წ. 1 აგვისტოდან დაინიშნა ნანა ჯოგოლაშვილი (კოზაყვი).

◆ სენაკის მაზრის პროკურორი ისილორე გულორ დავა განთავისუფლებულ იქნა სრულიად თავის თანამდებობიდან ა. წ. 21 ივლისიდან.

◆ ლეჩხუმის მაზრის პროკურორი არსენ ფალიანი განთავისუფლებულ იქნა სრულიად თავის თანამდებობიდან ა. წ. 11 აგვისტოდან და მისი მოვალეობის ასრულება დაევალა რაჭის მაზრის პროკურორს ამხ. ვაჩაძეს.

◆ ა. წ. 16 აგვისტოდან დაინიშნა ამხ. გიორგი ფოფხაძე ტფილისის მაზრა-ქალაქის სასამართლოს პროკურატურაში პროკურორად.

◆ ა. წ. 10 აგვისტოდან ახალციხის მეორე უბნის სახალხო მოსამართლედ დაინიშნა ალი-სავტარ კულიევი.

◆ ა. წ. 1 სექტემბრიდან განთავისუფლებულ იქნა სრულიად სამსახურიდან ზემოსვანეთის პროკურორი მიხეილ ქანუკვაძე.

◆ ქუთაისის მაზრის პროკურორი კონსტანტინე ხარაბაძე გადაყვანილ იქნა კახეთის მაზრაში იმავე თანამდებობაზე.

◆ განთავისუფლებულ იქნენ ა. წ. 13 აგვისტოდან თავიანთი თანამდებობიდან შემდეგი სახალხო მოსამართლენი: დომენტი ხიხაძე, ქსენია ჯიმშერაიშვილი, დავით ქვარიანი და ვლადიმერ გეწაძე.

მათ მაგერად დანიშნულ იქნენ: ტარასი მგალობლიშვილი, პატულია ხარებავა, მელქისედექ კანდელაკი და ბორის ავეტიკიანი.

◆ ლიუქსემბურგის უბნის სახ. მოსამართლე გახან მურაღვი განთავისუფლებულია ა. წ. 15 აგვისტოდან თავის თანამდებობიდან და მის მაგიერ იმავე რიცხვიდან დაინიშნა ჩაჯაფა ასუნღოვი.

◆ ზუგდიდის უბნის გამომძიებელი შალვა ციხაძე განთავისუფლებულ იქნა აღნიშნულ თანამდებობიდან ა. წ. აგვისტოს 1-დან და მის მაგიერ იმავე რიცხვიდან დაინიშნა ვარლამ სიჭინავა.

◆ ონის უბნის მოსამართლე გაბრიელ აბუთიძე განთავისუფლებულ იქნა სრულიად სამსახურიდან ა. წ. 1-ლ აგვისტოდან.

კომისიის დანიშვნა.

◆ იუსტისსახკომის წიგნთსაცავის ჩამოსაყალიბებლად გეგმის გამოსამუშავებლად შესდგა კომისია შემდეგი შემადგენლობით: პლენიკოვი, პავლიაშვილი და ჯვარშიევილი.

გიგლიოპრაფია

A. A. Пионтковский. Советское Уголовное право. Часть особенная. გვ. 428 ფ. 3 მან. 50 კაპ. 1928.

საერთოდ კოდექსების კომენტარები ჯეროვანად ვერ სწყვეტენ მათ მიერ დასახულ ამოცანას—ვერ შლიან საკვებით ცალკე მუხლების სიღრმეში დაჩრდილულ აზრს. ამ მხრივ, ცხადია, მეტის

მიცემა შეუძლია სპეციალურ თეორეტიულ კურსს, რომელშიაც მეცნიერულად გაშუქებულია და პრაქტიკული მაგალითებით დასაბუთებულია მომქმედი სამართლის პოლიტიკის ძირითადი დებულებები, — მათი გამოყენების პირობები და საშვალბანი, მით უმეტეს, როდესაც ასეთი კურსი დაწერილია სამართლის დარგში, რევოლუციონურ-მარქსისტულ პლატფორმაზე მდგომ ავტორის მიერ, როგორც არის ა. ა. პიონტკოვსკი.

ხსენებული ავტორის ნაშრომს, უპირველესად ყოვლისა, ფასსა მატებს ის გარემოება, რომ აქ დალაგებულია საბჭოთა სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ოველი სისტემა სამხედრო დანაშაულთა შესახებ დებულებითურთ, საწინააღმდეგო სისხლის სამ. კოდექსის ცალკე თავების მონოგრაფიული დამუშავების მეთოდისა (მაგ.: ტრაინინის, ვოლკოვის და სხვ. წიგნები). ამას ემატება კიდევ ის დადებითი მხარე პროფ. პიონტკოვსკის ნაშრომისა, რომ იგი დაწერილია რ.ს.ფ.ს.რ. სისხლის სამ. კოდექსის უახლეს (1926 წ.) გამოცემის და მის შემდეგ გამოცემულ საკანონმდებლო აქტების მიხედვით.

გადავდივართ რა თვით ნაშრომის არსებით გარჩევაზე, ჩვენ ავტორთან ერთად უნდა შევჩერდეთ ანალოგიის საკითხზე. კაპიტალისტურ ქვეყნების დოქტრინასა და კანონმდებლობაში გაბატონებულია პრინციპი—*nullum crimen, sine lege* (არ არსებობს დანაშაული კანონის მითითების გარეშე). ხოლო ცნობილია, რომ თანახმად საბჭოთა სისხლის სამართლისა, უკეთეს ესა თუ ის ქმედობა არ არის გათვალისწინებული სისხლ. სამ. კოდექსის კერძო ნაწილის რომელიმე მუხლში, ამ ქმედობას შეუფარდება „მნიშვნელობით და გვარით ყველაზე უფრო მზგავსი დანაშაულის“ გამოთვალისწინებელი მუხლი. ამაშია სწორედ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი „პრინციპიალური განსხვავება საბჭოთა სისხლის სამართლისა ბურჟუაზიულისაგან“, როგორც შენიშნავს ავტორი, სხვა განმასხვავებელ ნიშანთა შორის. და მით უფრო დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის მატარებელია ავტორის განმეორებითი მსჯელობა ანალოგიაზე (იხ. ამავე ავტორის სისხლის სამ. ზოგადი კურსი მ. მ.), რომ აქა-იქ გაისმის ხმები ანალოგიის ღირებულებისა და გამოყენების მეტად ვიწრო ფარგლების შესახებ (ტრაინინი), რაც, რასაკვირველია, ვერ უნდა მოვებდეს საკმაო საფუძველს ვერც საბჭოთა მართლმწიგნებაში და ვერც თვით კანონში.

მაგრამ ამ ღირსებათა გვერდით ნაშრომში ადგილი აქვთ ამათუ იმ ნაკლთ, როგორც მასალის დალაგების მხრივ, ისე ცალკე საკითხებზე მსჯელობის დროს. ასე მაგალ., ექვს იწვევს ნაშრომში მიღებული სისტემის მიზანშეწონილება. ავტორის მიზანია, მისივე შენიშვნით, მასალის იურიდიულ-დოგმატიური დამუშავება (გვ. 7). ამდენათვე საუბრებელია, რომ მეთოდოლოგიურ-დიდაქტიური მოსახრებით უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა შესასწავლ მასალის დალაგება. კოდექსის მიერ მიღებულ სისტემის მიყოლით, რასაკვირველია, ადგილ-ადგილ, ცალკე საკითხების გარკვევისას, ავტორის დასაბუთებული შენიშვნებით, თუ რამდენად მისაღებია კოდექსში გამოყენებული სისტემა. ნაშრომის სისტემა კი საფუძვლიანად სცდება კოდექსისას. ავტორი, მასალის ცალკე თავებათ დაჯგუფებისა და დალაგების საფუძვლად ღებულობს იმ „საზოგადოებრივ მიზართებებს რომლებიც ირღვევიან მოცემული დანაშაულით“ (გვ. 21) და ამის წყალობით ავტორი, მაგ.: ქურდობას ათავსებს თანამდებობრივ დანაშაულთა წინ. ხოლო, უნდა ვიფიქროთ, რომ უკეთესი იქნებოდა პირველ რიგში ისეთ ქმედობათა განსაზღვრა და გარჩევა, რომლებიც უფრო საზიფათოდაა მიჩნეული სახელმწიფოს მხრივ. რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენს პირობებში თანამდებობის პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა დევნა, თვალნათლია, და რატომ ასეთი ქმედობა მოთავსებულ უნდა იქნას, უდავოდ, უფრო ნაკლებად მნიშვნელოვან ქმედობათა შემდეგ, — ამის სათანადო დასაბუთებას ვერ ვპოვებთ ა. ა. პიონტკოვსკის წიგნში.

გაუგებრობას იწვევს ავტორის შეხედულება, რომ სამართლის დაყოფა კერძოზე და საჯაროზე შესაბამება სამრეწველო კაპიტალიზმის ეპოქას (გვ. 18). სამართლის ხსენებული კლასიფიკაცია—საჯარო და კერძოზე—შემოღებულ იქნა ჯერ კიდევ რომის სამართალში, რომლის დროს, სამრეწველო კაპიტალიზმის არსებობის ფაქტი—ალბათ ეკვებს წარმოშვებს.

ნაკლებად დასაბუთებულად უნდა იქნეს მიჩნეული ავტორის განმარტება ქრთამის საგნის შესახებ (გვ. 221). კანონის მიხედვით ქრთამი შეიძლება მიცემულ იქნას „ამ თუ იმ სახით“. პრაქტიკა იმ

ლევა კახუსს: შეიძლება თუ არა ქრთამად აღიარება სქესობრივი კავშირის რაიმე მოქმედების შესრულების ან თავის შეკავებისათვის? ავტორი—უარყოფს ამგვარ ქმედობის კვალიუკაციას ქრთამის სახით მაგრამ თუ ანგარიშს გაუწევთ კანონის ტუქატს [ს. ს. კ. 123 მუხ.] რომელიც ამ შემთხვევაში არ იწვევს არავითარ გაუფებრობას, და იგი გარემოებას, რომ ქრთამი თავისი არსებით საბოლოო შედეგში გულისხმობს ანგარებას, უნდა ვიფიქროთ, რომ არ არსებობს არავითარი საბუთი, რათა უარყოთ სქესობრივ კავშირში ქრთამის ნიშნები.

აგრეთვე შემცდარი უნდა იყოს ავტორის აზრი მოკვლევისა, წინასწარ გამოძიებისა და სხვა საშუალებით შეკრფილ ცნობების გახმაურების შესახებ (გვ 331). ავტორის აზრით, დანაშაულებრივ გახმაურებას ადგილი აქვს მხოლოდ მისი საჯაროდ ჩადენის შემთხვევაში, და არა ერთ განსაზღვრულ პირისადმი ან ცნობების მიწოდების დროს. ვფიქრობთ, რომ ვინაიდან ამ აღკრძალვის დედა-აზრი მდგომარეობს მასში, რომ წინასწარმა გახმაურებამ არ ავნოს საქმის სამართლიან გარჩევას, საგამომძიებლო თუ სასამართლო ორგანოთა მუშაობისათვის არახელსაყრელ პირობების შექმნის სახით, ამიტომ მნიშვნელობა არ უნდა ქონდეს ცნობების მიმღებ პირთა რიცხვს, მით უმეტეს, რომ ცალკე შემთხვევაში ერთ ადამიანს შეუძლია მეტი ზიანის მიყენება, ვიდრე ამა თუ იმ ადამიანთა ჯგუფს.

და ბოლოს, უსათუოდ აღსანიშნავია ამ წიგნის დიდი ღირებულება, და მიუხედავად მოყვანილ სხვა და სხვა ნაკლისა, წიგნი მთლიანად წარმოადგენს ერთ-ერთ საუკეთესო სახელმძღვანელოს როგორც იუსტიციის დარგში პრაქტიკულად მომუშავეთათვის, ისე იურიდიული დარგის სტუდენტთა აკადემიურ მეცადინეობისათვის.

მირ. მაჭავარიანი.

იურიდიული დახმარება

(კითხვა-პასუხი)

კითხვა.

1926 წელში მოვახდინეთ გაყრა მე და ჩემმა ძმამ და ეს გავატარეთ რეგისტრაციაში. დღემდის საერთო სახლში ვცხოვრობდით, ერთ ოთახში მე, მეორე ოთახში კი ძმა. ერთი თვის წინად მე გადავსახლდი ჩემი სოფლიდან მეორე სოფელში და საერთო სახლიც გადავიტანე, მაგრამ მოვალე დავრჩი ვადამეხადა ჩემი ძმისათვის მისი ხვედრი სახლის ნაწილის საფასური. ამის გადახდის შეძლება მე არ მაქვს, ძმა კი მოითხოვს ან მიესცე უფლება ამ სახლში ცხოვრობისა ისე, როგორც წინედ ერთად ვცხოვრობდით ან და მის წილის ღირებულება გადაუხადო. გეკითხებით, მაქვს თუ არა უფლება შევიყვანო ძმა საერთო სახლში და თუ ეს შესაძლებელია, ცალკე კომლად ჩავითვლებით, თუ არა?

გიორგი ბელთაძე.

პასუხი:

თქვენი შეკითხვიდან არ სჩანს, როგორ ვანაწილდა თქვენ შორის კომლის ქონება. სახელდობრ სახლი, ძმის უფლება ქონებაზე დამოკიდებულია რეგისტრაციაში გატარებულ გაყრის პირობაზე. თუ ამ პირობის მიხედვით გაყრა ისე უნდა შესრულებულიყო, რომ თქვენ ძმის შეიძლო ერთი ოთახი აეღო და გადაეტანა სხვა ადგილას, თქვენ უფლება არ ექონდათ მთელი სახლი მეორე სოფელში გადაგეტანათ. უკეთუ გაყრამ მიანიჭა თქვენს ძმას ერთი ოთახის ღირებულების მიღება, თქვენ მოვალე ხართ მას ეს ვალი გადაუხადოთ. მაგრამ რადგან თქვენ ამის შეძლება არ ექონებიათ, შეგიძლიათ დააკმაყოფილოთ ძმის მოთხოვნა, რომ ის დაშვებულ იქნეს გადატანილ

სახლში საცხოვრებლად. ის გარემოება, რომ თქვენ ორთავენი ერთ სახლში იცხოვრებთ, თქვენსა და თქვენი ძმის ოჯახებს ვერ გახდის ერთ მთლიან სამეურნეო ოჯახად—კომლად, რადგან ერთ კომლად შეიძლება ჩაითვალოს ის ოჯახები, რომლებიც არა მარტო ერთად ცხოვრობენ, არა მედ ერთად ეწევიან მეურნეობას. ეს კი შესაძლებელია მაშინ, თუ ამ ოჯახებს აქვთ საერთო სარგებლობაში მიწები, რომლებზედაც მათ მიერ უნდა იქნეს წარმოებული სასოფლო-მეურნეობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თქვენი ძმის თქვენთან ერთ სახლში ცხოვრება იქნება დაკავშირებული თქვენი სამოსახლო ადგილის მის მიერ სარგებლობასთან, რასაც შეუძლია შეზღუდოს თქვენი უფლება ამ მიწით სარგებლობისა.

კითხვები:

1. შეიძლება თუ არა სასამართლოს აღმასრულებელმა ოჯახის ერთ წევრის პირად ვალისათვის ასწეროს და საჯარო ვაჭრობით გაყიდოს საერთო საოჯახო ქონება, რომელიც მოვალესთან ერთად ოჯახის სხვა წევრსაც ეკუთვნის?
2. რა ქონება არ აიწერება სრულიად, თუნდაც იგი მარტო მოვალეს ეკუთვნოდეს.
3. რამდენის დაკავება შეიძლება მოვალის ხელფასიდან, თუ მას თვიურად ეძლევა 40 მანეთი და ოჯახში სარჩენი ყავს 7 სული.

ერმ. გვილაგა.

პასუხი:

1. თუ ის ოჯახი, რომლის ერთი წევრის ქონებაზე მიქცეულ უნდა იქნეს გადახდევინება, წარმოადგენს კომლს უკანასკნელის ქონებაზე, როგორც კომლის ყველა წევრის საერთო სარგებლობის საგანზე, არ შეიძლება მიიქცეს გადახდევინება კომლის წევრის პირადი ვალიდან გამომდინარე პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად (იხ. მიწ. კოდ. 43 მუხლი). მაგრამ თუ ეს ოჯახი კომლად არ ირიცხება ამ შემთხვევაში ოჯახის საერთო ქონებაზე, რომელშიაც წილი ეკუთვნის მოვალეს, შეიძლება აღწერილ იქნეს, მაშასადამე ის შეიძლება გაიყიდოს საჯარო ვაჭრობით, თუ კი საერთო საკუთრების საგანი არ ეკუთვნის არ არის ისეთი საგანი, რომლის აღწერა და საჯარო ვაჭრობაში გაშვება შეუძლებელია.
2. იმ საკითხზე, თუ რა ქონება არ აიწერება სრულიად, თუნდაც იგი მოვალის განსაკუთრებულ საკუთრებას შეადგენდეს, პასუხს იძლევა სამოქ. სამ. საპრ. კოდექსის 271 მუხლი. (მოკლე ხანში უნდა გამოვიდეს კანონი, რომელიც სცვლის ამ მუხლს). მაგრამ როცა საქმე ეხება გადასახადისა, ბაჟისა და გამოსაღების ხარჯების გადახდევინებას, გადახდევინების მიქცევის საკითხში საქიროა ვინმემძღვანელოთ ნუსხით, რაც შემოღებულ იქნა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს ა. წ. 8 მაისის თარიღით გამოცემული დადგენილებით იმ ქონების ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომელზედაც არ შეიძლება მიქცეულ იქნეს გადასახადისა, ბაჟისა და გამოსაღების ხარჯების გადახდევინება (იხ. გაზ. „კომუნისტი“-ს 1928 წ. 6 სექტემბრის № 207).
3. თანახმად სამ. საპრ. კოდექსის 290 მუხლის გადახდევინებისაგან სრულიად თავისუფალია ხელფასის ნა-

წილი, რომელიც უდრის ხელფასის იმ საყოველთაო სა-
ვალდებულო მინიმუმს, რაც შრომის კანონთა კოდექსის
59 მუხლის თანახმად დაწესებულია უწყებულ ადგილას
სატარიფო ქსელის პირველი კატეგორიისათვის, მაგრამ
თუ მუშა-მოსამსახურის ხელფასი აღნიშნულ ნაწილს აღე-
მატება, ამ შემთხვევაში ამ თანხიდან შეიძლება მას დაე-
კიროს არა უმეტეს 50%-ისა, უკეთუ გადასახდევინებელი
თანხა დანიშნულია ოჯახის წევრთა შესანახად, და არა
უმეტეს 20%-ისა, უკეთუ გადასახდევინებელ თანხას სხვა
რამ დანიშნულება აქვს. აღნიშნულის მიხედვით უნდა ით-
ქვას, რომ იმ მოსამსახურეს რომელსაც თვითურად 40 მან.
ეძლევა, ხვედრ ხელფასიდან საყოველთაო სავალდებულო
მინიმუმის გამოკლების შემდეგ შეიძლება დაეკიროს ზე-
მოაღნიშნულ პროცენტების ფარგლებში გადამხდევინებელ-
ის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად.

კანონმდებლობის მიმოხილვა

1928 წ. აგვისტოს 16-დან აგვისტოს 31-დე.

ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რ. კანონმდებ- ლობა.

ფინანსები

О воспрещении устройства лотарей и розыгрышей на тер-
ритории ЗСФСР в период компании по проведению 2-го займа
индустриализации (ც. ა. კ-ის 1928 წ. აგვისტოს 16 დადგ.—ზარ.
ვოსტ. № 191, აგვისტოს 18).

1928 წ. ნოემბრამდე აკრძალულია ამ.-კავკ. ს. ფ. ს. რ. ტერი-
ტორიაზე ყოველგვარ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მიერ,
ავიოქიმის და დამხმ. საზოგადოებისა და მშრომელ ებრაელთა მიწათ
მომწყობ საზოგადოების გამოუკლებლივ, ლატარიების და გათამაშე-
ბათა მოწყობა.

უკვე ნებადართული ლატარიების მოწყობა გადაიდება აღნიშ-
ნული სესხის რეალიზაციის დამთავრების შემდეგი დროისათვის.

ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკების მთავრობებმა უნდა გა-
მოსცენ, ამა დადგენილების შესაფერისად, სათანადო საკანონმდებლო
აქტები.

საქართველოს კანონმდებლობა

გადასახადები

იმ ქონების ნუსხის დამტკიცების შესახებ, რო-
მელზედაც არ შეიძლება მქიციულ იქნეს გადასახად-
სა, ბაჟისა და გამოხადების ნარჩენის გადახდევინება
(ს. კ. ს-ოს 1928 წ. მაისის 8 დადგ.—კან. კრ. 1928 № 9, მუხ. 80,
დადგენილებით დამტკიცებულია ნუსხა, რომელიც მას თან
აქვს დართული, ნუსხაში ჩამოთვლილია ყველა სახის ქონება, რო-
მელზედაც არ შეიძლება გადასახადისა, ბაჟისა და გამოსადების ნარ-
ჩენის გადახდევინების მიქცევა; სხვადასხვა; დანიშნულების თანხები,
საბაიო შენატანები, დაწესებულებათა ქონება, სათბობი მასალა და
ნედლეულობა განსაზღვრულ რაოდენობით, საწარმოო იარაღი, ოჯახ-
ში სახმარებელი ნივთიერება, სასოფლო-სამეურნეო სულიერი და
უსულიო ინვენტარი, საქონლის საკვები, საცხოვრებელი და სამეურ-
ნეო შენობები, თესლეულობა და სხვ. ჩამოთვლით ამომწურავი ხა-
სათისა.

მშენებლობა

ახალ მშენებლობის სამმართველოს სახელწოდებით
„ახალშენებლობა“ დებულების დამტკიცების შესახებ.
(ს. კ. ს-ოს დადგ.—„კომუნისტი“ № 197, აგვისტოს 26).

დადგენილებით დამტკიცებული და სამოქმედოდ შემოღებული
მასთანავე დართული „ახალმშენებლობის“ დებულება და გაუქმებუ-
ლია საქ. ს. ს. რ. ეკონომიური საბჭოს მიერ 1927 წ. იანვრის 14
დამტკიცებული დებულება „საქართველოს სახ. მეურნეობის უმაღლეს
საბჭოს პრეზიდიუმთან არსებული ახალშენებათა კომიტეტის შესა-
ხებ“.

ამავე დადგენილების მე-3 მუხ. ძალით ახალშენებათა კომიტე-
ტის გაუქმებისთანავე მოლად მისი აქტივი და პასივი გადაეცა-
„ახალმშენებლობა“-ს.

განათლება

უმუშევართა სწავლების კურსების მოწყობისა და
შევსების წესის შესახებ (ს. კ. ს-ოს 1928 წ. აგვისტოს 27
დადგ.—„კომუნისტი“, № 190, აგვისტოს 17).

ყველა სახელმწიფო, კოოპერატიული, საზოგადოებრივ და კერ-
ძო საწარმომ და დაწესებულებამ ამა თუ იმ კურსების მოანგარიშე-
ობის, საქმის წარმოების და სხვ. მოწყობისა და მსმენელებით შევსე-
ბის საკითხები თვითულ ცალკე შემთხვევაში უნდა შეუთანხმონ
შრომის საბჭომს.

შრომის საბჭომმა განათლების საბჭომთან და დინტერესებულ
უწყებებსა და დაწესებულებებთან ერთად უნდა გადასინჯოს ამა
დადგენილების გამოცემამდე არსებულ კურსების არსებობის მიზან
შეწონილობის საკითხი.

აჭარის და აფხაზეთის საბჭომსაბჭოებმა და სამხრეთ-ოსეთის
ს. კ. ს-ომ უნდა გამოსცენ ანალოგიური დადგენილებანი.

შრომის საბჭომმა განათლების საბჭომთან შეთანხმებით უნდა
გამოსცეს სათანადო ინსტრუქცია ამა დადგენილების განსახორციე-
ლებლად.

ჯანმრთელობის დაცვა

საქართველოს ს. ს. რ. წითელი ჯვრის საზოგა-
დოების სახელწოდების შეცვლის შესახებ (ც. ა. კ-ისა და
ს. კ. ს-ოს 1928 წ. მაისის 9 დადგ. № 94, კან. კრ. 1928 წ. № 9
მუხ. 7.).

აღნიშნულ საზოგადოებას ამიერიდან ეწოდება „სრულიად სა-
ქართველოს წითელი ჯვრის და წითელი ნახევარ მივარის საზოგა-
დოება“.

ამ საზოგადოებას უფლება ეძლევა სახმ რებელ ემბლემად გა-
მოიყენოს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმივარის ნიშანი თეთრ
არეზე.

სრესხლის საპარტალნი

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის 1928 წ.
რედაქციის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალის-
წინებულ დანაშაულთა საქმეების ქვემდებარეობის შე-
სახებ (ც. ა. კ-ის 1928 წ. აპრილის 11 დადგ.—„კომუნისტი“ № 196
ავგ. 23).

დაწესებულია 1928 წ. რედაქციის სისხლ. სამ. კოდექსით გა-
თვალისწინებულ დანაშაულთა საქმეების შემდეგი ქვემდებარეობა.


ყველა საქმე ექვემდებარება სახალხო სასამართლოს, სახალხო
მსაჯულისა და ორი სახალხო მსაჯულის შედგენილობით, გარდა
ქვემოაღნიშნულ საქმეებისა.

64, 65 მუხ., 68 მუხ. 3 ნაწ., 73, 90, 93, 102, 103, 108, 198
მუხ., 1 და 2 ნაწ. 200 მუხ., 201 მუხ., 1 ნაწ. 202 მუხ. და 203—211
მუხ. გათვალისწინებულ დანაშაულისა, რასაც განიხილავს სახალხო
მოსამა თლე ერთპიროვნად, სასამართლო ბრძანების წესით.

58¹—58² მუხ. (სახელმწიფოებრივი, კონტრარევალიუციონური
და სხვ.); 60, 63, 70 მუხ., 72 მუხ. 1 ნაწ., 77, 78 მუხ., 81 მუხ. 2 და
3 ნაწ., მუხ. 2 ნაწ. (მმართველობის წესის საწინააღმდეგო), 114—121
მუხ., 122 მუხ. 2 ნაწ., 123 მუხ. 2 ნაწ. 125 მუხ., აგრეთვე განსა-
ზღვრულ პირობებში 126 და 127 სუხ. (თანამდებობრივი დანაშაუ-
ლი), 134—138 მუხ. (სამეურნეო), 144—147, 160, 167—173 და საგ-
ვარეულო ყოფა-ცხოვრების ნაშთად დარჩენილ დანაშაულთა დებულმე-
ბის (დანართი) 1 მუხ. (პიროვნების სიცოცხლის, ჯანმრთელობის და
სხვ. საწინააღმდეგო), 178 მუხ. „გ“ პუნ., 180 მუხ. 3 ნაწ., 181, 185
მუხ. და 194 მუხ. 1 ნაწ. (ქონებრივი დანაშაული) გათვალისწინებულ
დანაშაულისა რაც ექვემდებარება სამაზრო სასამართლოს და აჭარის
აფხაზეთის და სამხრეთ-ოსეთის მივარ და უმაღლეს სასამართ-
ლოებს; 139, 140 და 141 მუხ. გათვალისწინებულ დანაშაულისა რა-
საც განიხილავს შრომის კამერა.

დადგენილებით შეცვლილია აგრეთვე 27 მუხ.—დაწვრილებით
გათვალისწინებულია სამხედრო ტრიბუნისათვის ქვემდებარე საქ-
მეები.

აფხაზეთის და აჭარის ც. ა. კ-მა უნდა შეიტანონ თავიანთი
კანონმდებლობაში ის ცვლილებანი, რაც ამა დადგენილებიდან გა-
მომდინარეობს



შინაარსი: იუსტიციის სახალხო კომისარიატის ცირკულარი № 24. — განმარტება იუსტიციის და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატებისა. — ამონაწერი უზენაეს სასამართლოს პლენუმის ოქმებიდან.

იუსტიციის სახალხო კომისარიატის ცირკულარი

ცირკულარი № 24

სამაზრო და სახალხო სასამართლოებს და პროკურორებს. ახლი: უზენაეს სასამართლოს და აპარის, აუხაზეთის და სამხრეთ-ოხეთის იუსტიციის სახალხო კომისარიატებს.

ფარულ ადვოკატურასთან საბრძოლველ ღონისძიებათა შესახებ:

ჯერ კიდევ 1925 წ. მარტის 19 იუსტიციის სახალხო კომისარიატმა, სასამართლოდან ფარული ადვოკატურის გაქვევის მიზნით გამოსცა ცირკულარი 3248 №-ით, რომლის ძალითაც სახალხო სასამართლოებს უნდა მოეთხოვათ მხარეთა წარმომადგენლებისაგან სასამართლოში დამცველთა კოლეგიის საწევრო წიგნაკები და ამ წიგნაკების ნომრები შეეტანათ სხდომის ოქმებში. ამ განკარგულებით შესრულებამ გამოიწვია ახალი ცირკულარის გამოცემა 1925 წ. ივნისის 9, № 202-ს, რომელშიც განმეორებით იყო აღნიშნული, თუ რაოდენ საშიშროებას წარმოადგენს სასამართლოში ფარული ადვოკატურის შექცა.

მიუხედავად ამ ორი განკარგულებისა იუსტიციის ადგილობრივი ორგანოები არ იღებენ სათანადო ღონისძიებას აქ, გლეხობის ყოფა-ცხოვრების გამარწმელი სიბოროტის აღმოსაფხვრელად; ფარული ადვოკატურა კი სარგებლობს ამით და განაგრძობს მშრომელი გლეხობის სისტემატიურ მარევას. იუსტიციის ორგანომ მხედველობაში უნდა იქონიოს, რომ ის, ვისაც თავის პროფესიად ფარული ადვოკატობა ამოუჩრჩევია და ვინც თავისი პირადი სარგებლობისათვის იყენებს მასების უფიცობას, ყოველ პირობის გარეშე უნდა სოციალურად საშიშ პიროვნებათა ჩაითვალოს.

რამც თხოვნის ან განცხადების შედგენა და სასამართლო და საბჭოთა დაწესებულებაში შეტანა არა დამცველთა კოლეგიის წევრის შერ თავის თავად არ წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს, მაგრამ რამდენათაც ამ საჩივრების შემდგენელთა და შუამდგომთა ქმედობაში ადგილი აქვს ანგარებით მოტყუებას და მშრომელთა ნდობის ბოროტად გამოყენებას, ასეთი ქმედობა წარმოადგენს უკვე სისხლ. სამ. კოდ. 183 მუხ. გათვალისწინებულ თაღლითობას. ამიტომ, იუსტიციის სახალხო კომისარიატი წინადადებას გაძლევთ იმ ღონისძიებათა გარდა, რაც აღნიშნულია 1927 წ. აგვისტოს 24 ცირკულარში, აწარმოოთ გეგმაწვენილი ბრძოლა ფარულ ადვოკატობასთან სისხლ. სამ. კოდ. 183 მუხ. შეფარდებით.

თუ-კი დამტკიცდება, რომ იმ პირმა, ვისაც ფარული ადვოკატობა ხელობად გადუქცევია, ისარგებლა მუშის ან გლეხის უფიცობით და გამოიყენა მისი შევიწროებული მდგომარეობა, მას უნდა წაუყენოთ ბრალდება შემოთაღნიშნულ მუხლით, მისცეთ იგი სამართალში და შეუფარდოთ სოციალური დაცვის სათანადო ღონისძიება.

ამავე დროს მხედველობაში უნდა იქონიოთ, რომ სამოქ. სამს. სპარ. კოდ. 21 მუხ. „დ“ პუნქტ. ძალით დამცველთა კოლეგიიდან გამოირიცხულს არ შეუძლიან იყოს მხარის წარმომადგენლად, ხოლო რაც შეეხება სისხლ. სამ. საქმეებს, ასეთ საქმეებზე, დამცველთა კოლეგიის წევრებისა და სათანადო მუხლში დასახელებულ პირთა გარდა, სხვა ვინმე პირს შეუძლიან დამცველად გამოვიდეს მართლმოდენ სასამართლოს განსაკუთრებული ნებართვით. „სხვა პირად“ იგულისხმება მხოლოდ ისეთი პირი, რომელიც თუმცა პროფესიით დამცველი არ არის მაგრამ მას სასამართლო პირადად იცნობს, ანდა ის, ვისაც თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობით ან დასაცავ პირთან რაიმე განსაკუთრებული დამოკიდებულებით სასამართლოს ნდობა დაუშინა-ხურება.

პროკურორებმა, მუშგლეხკორებთან კავშირის გაბმით, ყოველგვარი ღონისძიება უნდა მიიღონ ფარული ადვოკატების ავი და მავენ

მოღვაწეობის გამოსააშკარავებლად და მათ მისაცემად პასუხისგებაში ამავე დროს უნდა აწარმოონ აღნიშნულ წსიბოროტესთან ბრძოლის აღრიცხვა და გზავნოს ცნობები ამ მიმართულებით ჩატარებული ბრძოლის შესახებ.

სასამართლოებს კი წინადადება ეძლევა ნამეტნავად თვალსაჩინო საქმეები ამ პირთა თაღლითობის შესახებ ჩაატარონ საჩვენებელ პროცესებად, ხოლო ცნობები ამგვარ საქმეთა რიცხვისა და ამ მათზე გამოტანილ განაჩენების შინაარსის შესახებ შეიტანონ იუსტიციის სახალხო კომისარიატში წარმოსადგენ ანგარიშებში.

იუსტიციის სახალხო კომისარი და რესპუბლიკის პროკურორი შ. მათიკაშვილი. სასამართლო მართვ. განვ. გამვის მოვ. აღმ.

თ. შავიშვილი.

1928 წ. აგვისტოს 31.

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა

იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატებისა.

იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატების მიერ სასამართლოს აღმასრულებელთა, მილიციის უფროსებისა და თემალმაცხოვრთა თავმჯდომარეების სახელზე „გადაწყვეტილებათა აღსრულების წესისათვის“ 1926 წ. ივლისის 22-ს გამოცემული ინსტრუქციის 37 მუხლის შესაცვლელად (1926 წ. № 13-14 „მოამბე“ გვ. 108) იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატები ადგენენ აღნიშნული მუხლი შეიცვალოს შემდეგი რედაქციით:

უკეთუ ექვსი თვის განმავლობაში დღიდან გადამხდევინებლის მიერ აღსრულების ფურცლის წარდგენისა ან უკანასკნელი აღსრულებითი მოქმედების მომენტიდან გადამხდევინებელი არ მოსთხოვს აღმასრულებელს გადაწყვეტილების აღსრულებას, იმის აღნიშვნით, თუ სად იმყოფება მოვალე, მისი ქონება და საერთოდ ყველა იმ ცნობით, რაც საჭიროა გადაწყვეტილების აღსასრულებლად, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსასრულებელი პირი აღსრულების ფურცელს წააწერს, რომ გადამხდევინებელს შემოაღნიშნულ ვადის განმავლობაში არ მოუთხოვია გადაწყვეტილების აღსრულება და არც ამისათვის საჭირო ცნობები წარმოუდგენია, და მთელ საქმეს აღსრულების ფურცელთან ერთად დაუბრუნებს იმ სასამართლოს, რომელმაც გადაწყვეტილება გამოიტანა.

4 სექტემბერი 1928 წ. № 14656, ქ. თბილისი იუსტიციის სახალხო კომისარი — მათიკაშვილი.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი — ბერაძე

ა მ მ ნ ა წ ე რ ი

ს. ს. ს. რ. უზენაეს სასამართლოს პლენუმის 1928 წ. ივნისის 1 ოქმიდან

იუსტიციის სახალხო კომისარის მომართვა, რომ განმარტებულ იქნეს 1926 წ. ოქტომბრის 19 საბინაო კანონის მე-4 მუხლი, თუ რამდენი უნდა იხადონ ბინის ქირა იმ პირებმა, რომლებიც იმყოფებიან მუშა-მოსამსახურეების კმაყოფაზე, თუ ეს უკანასკნელები სცხვრობენ ცალკე და მათ კმაყოფაზე მყოფთ უგზავნიან განსაზღვრულ თანხას. მომხ. ს. ხარაბაძე.

განმარტოს სახელმძღვანელოთ ქვემდებარე სასამართლოებს, რომ დროებით ცალკე მცხოვრები ოჯახის წევრი არ იქნება მოწაფე, ბინის დამქირავებელი მუშა-მოსამსახურე ვალდებულია იხადოს ბინის ქირა კანონით გათვალისწინებული ნიხრით თვიური ხელფასის მიხედვით, მოწაფე კი ბინის ქირას იხდის კანონით გათვალისწინე-

ბული ნიხრით; დამკირავებლის უზრუნველყოფის ქვეშ მყოფი პირი ვალდებულია იხადოს ბინის ქირა სარჩოს სახით მიღებული თანხის და კერძო შემოსავლის რაოდენობის მიხედვით. ასეთ შემთხვევაში სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს დებულების 28 მუხლით. მოსარჩლე ვალდებულია თვითონ დაამტკიცოს მობინადრის, როგორც კერძო შემოსავლის, აგრეთვე მიღებული სარჩოს თანხის რაოდენობა.

ს. ს. ს. რ. უზენაეს სასამართლოს პლენუმის 1928 წ. 2 ივლისის ოქმიდან

უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის წინადადება, რათა განმარტებულ იქნეს რკინის გზების წესდების 86 მუხლი რკინის გზების პასუხისმგებლობის შესახებ ტვირთის წონაში დანაკლისის აღმოჩენის დროს. მომხს. ს. ხარაბაძე.

განმარტოს სახელმძღვანელოთ, რომ რკინის გზების 86 მუხლს 1922 წ. რედაქციით სწორად შეფარდების მიზნით ცნობილი იქნეს, რომ უკეთეს ტვირთი მიღებული იქნება ადგილობრივ უზენაელი რონოდით, მთელი პლანებით და დაუზიანებელი შეკვრით, უნდა ვიგულისხმობთ, რომ ტვირთი მთელი და უზენაელია. მიუხედავად წონაში აღნუსხული განსხვავებისა, და სანამდე ეს მოსაზრება საქმის სხვა გარემოებებით არ იქნება გაქარწყლებული, რკინის გზა პასუხს არ აგებს წონაში განსხვავებაზე.

ს. ს. ს. რ. უზენაეს სასამართლოს პლენუმის 1928 წ. 2 ივლისის ოქმიდან

ს. ს. რესპუბლიკის ცაკის პრეზიდიუმის წინადადება, რათა გადათვალთვრებულ იქნეს უზ.სასამართლოს პლენუმის 1928 წ. 17 მარტის დადგენილება საქმეზე ზაღბოსტან კოოპერატიული კავშირის სალიკვიდაციო კომისიის სარჩელისა გამო რუსთურქულ საიმპორტო საქმისპორტო საქციონერო საზოგადოებასთან „რუსთურქთა“. 2768 მანეთის 29 კაპ. გადახდევინების შესახებ. მომხს. არ. აკოვოვი. ს.კ. № 94.

როგორც საქმიდან სჩანს, აღმოსავლეთ საქართველოს ყოფილ ოლქის სასამართლოს 1927 წ. ნოემბრის 2—4 გადაწყვეტილებით როგორც მაძიებლის ძირითადი, ისე მოპასუხის შეგებებითი სარჩელი დამკამოფილებულია, პირველი 7268 მან. 29 კაპ. რაოდენობით: აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო საკრებულოს 1927 წ. დეკემბრისა 23 დადგენილებით დამტკიცებულია და „ზაღბოსტანის“ კავშირის სალიკვიდაციო კომისიის რწმუნებულის საკასაციო საჩივარი დატოვებულია უშედეგოთ. რესპუბლიკის პროკურორის პროტესტი მოითხოვს, როგორც ყოფილ ოლქის სასამართლოს გადაწყვეტილებას, ისე საკასაციო საკრებულოს დადგენილების გაუქმებას იმ ნაწილში, რომელიც ეხება შეგებებითი სარჩელის დამკამოფილებას შემდეგი მოსაზრებათა გამო. მოპასუხე სისტემატიურად იღებდა ჩასაბარებელ ვაშლებს, მიუხედავად იმისა, რომ მიღებული ვაშლების ხარისხებს შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეთანხმება დაცული არ იყო. ვაშლს ღებულბოდა მოპასუხის წარმომადგენელი ხილის ყოველ მხრივ განიჯვის შემდეგ და სათანადო აქტების შედგენით, რომელშიაც აღნიშნულია ხილის რაოდენობა სორტების მიხედვით და მისი ვარგისიანობაც. სასამართლოს არ გამოურკვევია იზარალა თუ არა მაძიებლის მოქმედებით მოპასუხემ და თუ რაიმე ზარალა ნახა რას უდრის ასეთი; მოპასუხის მიერ საქმეში წარმოდგენილი ცნობა, რომ მან ვაშლის ოპერაციისაგან იზარალა 28,000 მან. არაფერს არ ამტკიცებს, ვინაიდან დამტკიცებულია, რომ პირველი ჯგუფიდან ჩაუბარებელი ხილის ღირებულება უდრიდა 3,000 მან., და 3,000 მან. ხილის ჩაუბარებლობა ვერ გამოიწვევდა 28,000 მან. ზარალს, პირიქით წარმოდგენილი საბუთი ამტკიცებს იმას, რომ მოპასუხე „რუსთურქს“ ზარალი მოსვლია ხილის ცუდ პირობებში რეალიზაციის გამო, ვაშლის უცხო შორეულ ბაზარზე გატანით, დიდი ხარჯების გაწევით გადატანაზე, შენახვაზე, ერთი პუნქტიდან მეორეზე გადაზიდვით და სხვა, როგორც ხილის ჩაბარების აქტებიდან სჩანს, ჩაბარებული იყო კარგი ხარისხის ვაშლი, ვეჭვობა 100% და მიღებული უშინაშნოთ, რაც იმას ამტკიცებს, რომ ხილი იყო მოპასუხისთვის ხელსაყრელი. მოყვანილ მოსაზრებებს რესპუბლიკის პროკუ-

რორისა უზენაესი სასამართლოს პლენუმის სასახეებით იზარებს და სწორად და სამართლიანათ სცნობს პროტესტის მოთხოვნილებას სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ იმ ნაწილში, რომელიც ეხება მოპასუხის შეგებებითი სარჩელის დამკამოფილებას— და ა დ გ ი ნ ა: რესპუბლიკის პროკურორის პროტესტი დამკამოფილებას. აღმოსავლეთ საქართველოს ყოფილ ოლქის სასამართლოს 1927 წ. ნოემბრის 2—4 გადაწყვეტილება უზენაესი სასამართლოს საკასაციო საკრებულოს 1927 წ. დეკემბრის 23—26 დადგენილება გაუქმებული იქნეს იმ ნაწილში, რომელიც ეხება მოპასუხის „რუსთურქის“ შეგებებითი სარჩელის დამკამოფილებას და საქმე გადაეცეს ტფ. მაზრა-ქალაქის სასამართლოს ხელახლა განსახილველად სხვა შემადგენლობაში აღნიშნული ნაწილისა-ძირითადი სარჩელის ნაწილში სასამართლოს გადაწყვეტილება დამტკიცდეს.

ს. ს. ს. რ. უზენაეს სასამართლოს პლენუმის 1928 წ. 7 აგვისტოს ოქმიდან


უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის წინადადება, რათა განმარტებულ იქნეს სახელმძღვანელოთ სისხ. სამ. კოდ. 137 მუხლი ახალი რედაქციით, ვრცელდება თუ არა აღნიშნული მუხლი 1928 წ. 1 მაისს, ე. ი. კოდექსის სამოქმედოთ შემოღების შემდეგ აღძრულ საქმეებზე, თუ ის შეეფარდება ასეთ საქმეებსაც, რაც 1 მაისამდე იქნა აღძრული. მომხს. აშ. გაღუსტიანი.

ს. ს. კ. 137 მუხ. ახალი რედაქციით (1928 წ.) ეფარდება აგრეთვე ახალი კოდექსის სამოქმედოდ შემოღებამდე აღძრულ საქმეებს, ე. ი. 1928 წ. 1 მაისამდე. ამ მუხლით განსაზღვრულია პასუხისმგებლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმის სამოქალაქო წესით განხილვის დროს გამოირკვევა, რომ სახელმწიფო საზოგადოებრივი ან კოოპერატიული დაწესებულებასა ან საწარმოსთან დადებული ვალდებულების შეუსრულებლობა ბოროტი განზრახვით მოხდა. ამ მუხლს აქვს პრეიუდიციალური (წინაგანსასჯელი) ხასიათი, ვინაიდან საკითხი სისხლის სამართლის წესით პასუხისმგებლობის შესახებ დამოკიდებულია სამოქალაქო სასამართლოს დადგენილებაზე, რომელიც საქმის გარჩევის დროს გამოირკვევს, რომ ვალდებულების შეუსრულებლობა მოხდა ბოროტი განზრახვით. ასეთი საკითხი უნდა განხილულ იქნეს ყველა საქმეზე, რაც გასარჩევი იქნება ამ ახალი კანონის არსებობის დროს. ყველა ასეთ საქმეებზე, წარმოება უნდა შეჩერებულ იქნეს და თვით საქმე გადაეცეს განსახილველად სამოქალაქო სასამართლოს. თუ სამოქალაქო სასამართლო არ აღმოჩენს მოპასუხის ბოროტ განზრახვას, სისხლის სამართლის წესით წარმოება მოისპობა; წინააღმდეგ შემთხვევაში სისხლის სამართლის წარმოება განხილულ უნდა იქნეს და წარიმართოს საერთო წესით. სამოქალაქო სასამართლოს დადგენილება არ ზღუდავს სისხლის სამართლის სასამართლოს და საგამომძიებლო ორგანოების მოქმედებას, რომელნიც ვალდებული არიან მიიღონ საქმე თავიანთ წარმოებაში, ხოლო ამის შემდეგ საქმე შეიძლება,—გადაცემულ იქნეს დამატებითი გამოძიებისათვის, მოსპობილი ან გადაცემული განსახილველად საერთო წესით.

ს. ს. ს. რ. უზენაეს სასამართლოს პლენუმის 1928 წ. 7 აგვისტოს ოქმიდან.

უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის წინადადება, რათა განმარტებულ იქნეს სისხ. სამ. სპარ. კოდ. 245¹ მუხ., თუ რა შემთხვევაში წარედგინება უზენაეს სასამართლოს საკასაციო საკრებულოში სასამართლოში მოსასპობათ შეტანილი საქმე. მომხს. აშ. გაღუსტიანი.

ს. ს. ს. კ. 245¹ მუხ. უნდა განმარტებულ იქნეს იმავე კოდექსის 245¹ მუხლთან დაკავშირებით. ს. ს. ს. კ. 245 მ. გათვალისწინებულია ორი შემთხვევა: ა) თუ სასამართლო სცნობს, რომ გამოძიება სისწორით და საკმაოდ არის ჩატარებული და საცემით ეთანხმება საქმის მოსპობას იგი მას მოსპობს გამწესრიგებულ სხდომაზე; ბ) ხოლო თუ სასამართლო სცნობს, რომ გამოძიება არ არის საკმაოდ და სისწორით ჩატარებული და მოითხოვს დამატებას, იგი გადასცემს მას დამატებითი გამოძიებისათვის და დაწვრილებით მიუთითებს გამწესრიგებულ სხდომის დადგენილებაში, თუ რით უნდა შეესრულებულ იქნეს გამოძიება.



245¹ მუხ. გულისხმობს შემდეგს შემთხვევებს: ა) თუ სასამართლო წინასწარ გამოძიების დროს გამოჩვეული ცნობების შეფასებისას მიდის დასკვნამდე, რომ მიუხედავად იმისა, რომ გამოძიება საკმაოდ და სისწორით არის ჩატარებული, საქმის მოსპობა მაინც შეუძლებელია (იხილეთ 245 მუხ. „ა“ განმარტება) რომ ბრალდებული უნდა მიცემულ იქნეს პასუხისმგებლობაში, ასეთი აზრთა სხვა და სხვაობის გადასაწყვეტად საქმე უნდა წარედგინოს უზენაეს სასამართლოს, რამდენადაც ოლქის სასამართლოები არ არსებობს; ბ) მეორე შემთხვევა ეხება 245 მ. პ. „ბ“-ს განმარტებას: თუ სასამართლო არ დაეთანხმება ისეთი საქმის მოსპობას, რომელიც მისივე გამოწვევებით სხდომის დადგენილებით ერთხელ იყო გადაცემული დამატებითი გამოძიებისათვის თანხმად ს. ს. ს. კ. 245 მუხ. და ამის შემდეგ მაინც წარიმართება მოსასპობათ, ასეთი აზრთა სხვადასხვაობის გადასაწყვეტად უნდა წარედგინოს საქმე უზენაეს სასამართლოს: პრაქტიკაში კი ხშირია შემთხვევა, რომ სასამართლო, არ ეთანხმება რა დადგენილებას საქმის მოსპობის შესახებ და არ აღნიშნავს რა, რამდენათ სისწორით და საკმაოდ ჩატარებულია გამოძიება და პირდაპირ წარმართავს საქმეს უზენაეს სასამართლოში თანახმად ს. ს. ს. კ. 245¹ მუხ., რაც არ არის სწორი.

ს. ს. ს. რ. უზენაეს სასამართლოს პრეზიდიუმის 1928 წ. 15 აგვისტოს ოქმიდან.
რესპუბლიკის პროკურორის პროტესტი ტფილისის შრომის სასამართლოს 1928 წ. 26-27 ივნისის გადაწყვეტილებაზე მილიციონერი დავით ბახტაძის სარჩელისა გამო სამსახურში აღდგენისა და ხვედრი ხელფასის მიცემის შესახებ. მომხს. ყამარაული.
 მოსარჩლე მილიციონერი დავით ბახტაძე ტფილისის შრომის სასამართლოს 1928 წ. ივნისის 26-27 გადაწყვეტილებით, რომ

გორც უკანონო დათხოვნილი, აღდგენილია თავის თანამდებობაში და მისჯილი აქვს ტფილისის აღმასკომისაგან 248 მანეთი განაცდენი დროის ხელფასი, ეს გადაწყვეტილება დამტკიცებულია უზენაესი სასამართლოს საკასაციო საკრებულოს 1928 წლის ივლისის 13 დადგენილებით. რესპუბლიკის პროკურორმა შემოიტანა პროტესტი სასამართლოს გადაწყვეტილებაზე სადაც აღნიშნავს რომ ზედამხედველობის წესით შემოტანილ განცხადებასთან წარმოდგენილი ბახტაძის პირადი საქმიდან ირკვევა, რომ მილიციონერი დავით ბახტაძე მილიციის უწყებაში აუტანელი გამხდარა თავის უწყის მოქმედებით, და მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება და შრომის სასამართლოს 1928 წლის აპრილის 11-13 გადაწყვეტილების დამტკიცება, როგორც სწორის და კანონიერის, რომლითაც დავით ბახტაძეს ძიებაში უარი, ეთქვა. როგორც საქმიდან სჩანს, დავით ბახტაძეს აღუძრავს საინსტანციო წესით შეამდგომლობა სამსახურში დაბრუნებაზე როგორც ვითომდა, უკანონო დათხოვნილს, და როდესაც ადამინისტრაციული წესით უარი ეთქვა, შემდეგ მიუმართავს სასამართლოსათვის, რის უფლება მას არ ჰქონდა, როგორც ეს გარკვეულია მილიციის დებულების 65 მუხ. მეორე შენიშვნაში, რომ მილიციის მომუშავეს უკანონო დათხოვნაზე საჩივრი შეუძლია შეიტანოს მარტოოდენ საინსტაციო წესისამებრ ან სახალხო სასამართლოს შრომის საქმეთა განსაკუთრებულ სესიაში, რის გამო დაადგინა რესპუბლიკის პროკურორის პროტესტი დაკმაყოფილდეს და ტფილისის შრომის სასამართლოს 1923 წლის 11 13 აპრილის გადაწყვეტილება დამტკიცდეს და საქმე წარმოებით მოისპოს. უზენაესი სასამართლოს საკასაციო საკრებულოს 1923 წლის 14 მაისის დადგენილება, ტფილისის შრომის სასამართლოს 1928 წლის ივნისის 26-27 გადაწყვეტილება და უზენაესი სასამართლოს 1928 წლის ივლისის 13 დადგენილება საქმეზე ძიების გამო დავით ბახტაძის აღმასკომის ადმინგანყოფილებათან სამსახურში აღდგენის შესახებ გაუქმდეს.

გამომცემელი:
საქ. ს. ს. რ. იუსტიციის
სახალხო კომისარიატი

პასუხისმგებელი რედაქტორი: შ. მათაკაშვილი.
სარედაქციო კოლეგია: ა. კაჭარავა, პროფ. შ. ნუცუბიძე, ი. როინაშვილი, კ. მიქელაძე, ს. ჯაფარიძე, პ. ქავთარაძე.

საქ. ს. ს. რ. იუსტსახკომის გამოცხადება

თანახმად საქ. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. დეკემბრის 14 დადგენილებისა „საქ. მ. გ. კანონთა და განკარგულებათა კრებულის სავალდებულო გამოწერის შესახებ“ აცხადებს

სახელმწიფო, კოოპერატიულ დაწესებულებათა და საწარმოთა და აგრეთვე კერძო დაწესებულებათა და პირთა საყურადღებოდ, რომ

იღებს ხელისმომწერას

საქართ. მუშ. და გლეხ. მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებულზე 1928 წლისათვის

საქ. ს. ს. რესპ. იუსტ. სახ. კომისარიატის გამოცხადებას საწყობში აქვს:

- | | |
|---|---|
| 1. საქ. ს. ს. რესპ. კონსტიტუცია საუკეთესო ქალაქებზე, ქართულ ენაზე — 40 კ. | 16. იგივე რუსულ ენაზე — 70 კ. |
| 2. საქ. ს. ს. რესპ. კონსტიტუცია საუკეთესო ქალაქებზე, რუსულ ენაზე — 40 კ. | 17. საქართველოს ს. ს. რ. კონსტიტუცია (ბროშიურად) გაყიდულია. |
| 3. საქ. ს. ს. რ. მუშ. და გლეხ. მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული 1923 წ. ქართულ ენაზე, კომპლექტი . 1 მ. 20 კ. | 18. „ტყის წესების დარღვევა—წანახედი“ სახელმძღვანელო თემალმასკომებისათვის (გაყიდულია). |
| 4. საქ. ს. ს. რ. მუშ. და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკ. კრებ. 1924 წ. ქართულ და რუსულ ენაზე — 2 მ. — | 19. ბროშიურა „კომლის გაყრა“—მ. ქორქაშვილი — 20 კ. |
| 5. საქ. ს. ს. რ. მუშ. და გლეხ. მთ. კან. და განკარგულებათა კრებული 1925 წ. ქართულ და რუსულ ენაზე 1 მ. 50 კ. | 20. „საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის ახსნა განმარტებანი მიწის კოდექსის ზოგიერთი მუხლებისა“—(გაყიდული |
| 6. საქ. ს. ს. რ. მუშ. და გლეხ. მთ. კან. და განკარგულებათა კრებული 1926 წ. ქართულ და რუსულ ენაზე 3 მ. 10 კ. | 21. „იუსტსახკომის მომქმედი 1925 წ. ინსტრუქციებისა და ცირკულარების კრებული“ 1 მ. — |
| 7. საქ. ს. ს. რ. მუშ. და გლეხ. მთ. კან. და განკარგულებათა კრებული 1927 წ. ქარ. ენაზე 3 მ. — | 22. ბროშიურა „მიწის შრომითი იჯარა“—ა. ალხოვი. — 15 კ. |
| 8. საქ. ს. ს. რ. მუშ. და გლეხ. მთ. კან. და განკარგულებათა კრებული 1927 წ. რუს. ენაზე 3 მ. — | 23. „მსჯავრდადებულთა ცნობარი“ 1924 და 25 წ.წ. 3 მ. — |
| 9. საქ. ს. ს. რ. სისხლის სამართლის კოდექსი. | 24. „იუსტსახკომის მომქმედი—1926 წ. ინსტრუქციებისა და ცირკულარების კრებული“ (იბეჭდება). |
| 10. სამოქალაქო პროცესი. სახელმძღვან. ს. ჯაფარიძისა.—ქართულ ენაზე . . 1 მ. 65 კ. | 25. „საქართველოს ს. ს. რესპ. შრომა გასწორების კოდექსი“ — 50 კ. |
| 11. საქ. ს. ს. რ. სამოქალაქო კოდექსი, ქართულ ენაზე 1927 წ. გამოცემა — 75 კ. | 26. „შრომითი მიწის მოსარგებლე და მისი უფლება მოვალეობანი — კ. მიქელაძე. (პოპულარული წიგნაკი) — 50 კ. |
| 12. იგივე რუსულ ენაზე — 75 კ. | 27. „სახალხო მსაჯულის უფლება—მოვალეობანი სასამართლოში“ — 25 კ. |
| 13. საქ. ს. ს. რ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ქართულ ენაზე — 45 კ. | 28. „ნასყიდობა“—ა. ალხოვისა — 70 კ. |
| 14. საქ. ს. ს. რ. სასამართლოს წყობილების დებულება, ქართულ ენაზე — 25 კ. | 29. „Действующее законодательство о порядке перехода и обложения налогом имущество, переходящих по наследованию и дарению“ И. Паичадзе — ц. 70 კ. |
| 15. საქ. ს. ს. რ. სისხლის სამ. საპრ. კოდ. 1927 წ. გამოცემა — 70 კ. | 30. საქ. ს. ს. რ. სისხლის სამართლის კოდექსი ქართულ და რუსულ ენაზე — 65 კ. |

ამის გარდა გამომცემლობას შეუძლიან მიაწოდოს მსურველთ რ. ს. ფ. ს. რ. და უკრ. რესპ. იურიდიული. ლიტერატურის ყველა ახალი გამოცემა.

ყველა მოთხოვნას კანონთა კრებულის, კოდექსების და იურიდიული ლიტერატურის გაგზავნის შესახებ გამომცემლობა ასრულებს დაუყოვნებლივ ფოსტით ფულის მიღების უმაღლეს ან და ფასდადებით გაგზავნის შესახებ მოთხოვნის მიღებისთანავე.

შეკვეთით უნდა მიმართონ: ტფილისი, ტრიბუნალის ქ. № 32, იუსტ. სახ. კომის. გამომცემლობას.